ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 22 აპრილი 2008 №090 (3314) ფასი 50 თეთრი

საფეხბურთო ოპოზიცია: არ გვინდა ახალკაცი, გვინდა ახალი კაცი!

საქართველოს ფეხბურთის გულშემატკივართა ფორუმის

მიმართვა

ქართულ საფეხბურთო საზოგადოებას,
საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ბატონ ნოდარ ახალკაცს,
საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელ კომიტეტს,
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრს ბატონ ნიკოლოზ ვაჩეიშვილს,
საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარეს ბატონ დავით ნამგალაურს

ქართულ ფეხბურთში კატასტროფული მდგომარეობაა: ქაოსია ბავშვთა ფეხბურთში, ჩამკვდარია საფეხბურთო ცხოვრება რეგიონებში, დღითიდღე ეცემა ეროვნული ჩემპიონატის დონე, შემაშფოთებელია ფეხბურთელთა გადინება, გაპარტახებულია საფეხბურთო მეურნეობა, სოციალურად და იურიდიულად დაუცველნი არიან ფეხბურთში დასაქმებული სპეციალისტები, სამარცხვინოა საქართველოს ნაკრები გუნდების შედეგები, მაშინ, როდესაც ამ სფეროს მოხმარდა ზღაპრული თანხები სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ქართულ ფეხბურთს მართავს ხელმძღვანელობა, რომელიც საფეხბურთო სამყაროს ლეგიტიმურად არ აურჩევია. ამ უსამართლობამ ორად გახლიჩა საფეხბურთო საზოგადოება.

საქართველოს ფეხბურთის გულშემატკივართა ფორუმი ახმოვანებს საქართველოს ფეხბურთის მოყვარულთა ნებას — დაუყოვნებლივ გადადგეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი და აღმასკომის სრული შემადგენლობა, დაინიშნოს ფედერაციის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები, რომელიც დაცული იქნება ყოველგვარი პოლიტიკური ჩარევისგან.

მხოლოდ ლეგიტიმურად არჩეულმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, საფეხბურთო ძალების სრული გაერთიანებით, პროფესიონალებით დაკომპლექტებული მმართველი გუნდით, უნდა დაიბრუნოს საზოგადოების ნდობა და აღდგეს სამართლიანობა, რაც შექმნილი რთული სიტუაციიდან გამოსვლის ერთადერთ სწორ გზას წარმოადგენს.

ჟაკ სანტინის 10 ქა-რთული დღე

ლუქსემბურგი, რუსეთი და გერმანია

ჯერაც უცნობი ქართული კლუბი ინტერტოტოს ცნობილ გზაზე

უეფამ ინტერტოტოს ბოლო გათამაშების წილისყრა ჩაატარა და ქართველ ინტერტოტოელს მეტოქეები შეურჩია.

პირველი ეტაპი შედარებით იოლია — ლუქსემბურგული გუნდი გველის, მერე კი, რა მოგახსენოთ... რუსული „სატურნი“ ან „მოსკვა“, მესამე ეტაპზე კი ქართულ-რუსული ბრძოლის მომგებს გერმანული კლუბი ელის.

ამ წუთისთვის, ქართველ ინტერტოტოელად „ზესტაფონი“ ითვლება, მაგრამ აბა, ზესტაფონელებს ჰკითხეთ, ინტერტოტო თუ არ ეცოტავებათ...

თასი რაგბზე, ტაში ხალხზე

გუშინ საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ტიმ ლეინმა საესპანეთო 22-კაცა რაზმი დაასახელა და ძირითადად და სათადარიგოებად დაჰყო.

ამ შემადგენლობაში შეიძლება, ერთი ცვლილება მოხდეს — მარქაფში კუნთმტკივანი გიორგი შკინინი, შესაძლოა, ალექსანდრე თოდუამ შეცვალოს.

მატჩი კი, რომლის შედეგის მიუხედავად, საქართველო 2007-2008 წლების ერთა თასის მფლობელია, 26 აპრილს ეროვნულ სტადიონზე ჩატარდება. ოღონდ, ერთა თასის განაღდება, ცხადია, არ ნიშნავს, რომ საქომაგოდ სტადიონზე წასვლა დავიზაროთ...

ძირითადი შემადგენლობა

15 ოთარ ბარკალაია
14 ირაკლი ჩხიკვაძე
13 დავით კაჭარავა
12 რევაზ გიგაური
11 მალხაზ ურჯუკაშვილი
10 ლაშა მალაღურაძე
9 ირაკლი აბუსერიძე (კაპ)
8 დიმიტრი ბასილაია
7 გიორგი ჩხაიძე
6 რატი ურუშაძე
5 მამუკა გორგოძე
4 გიორგი ნემსაძე
3 დავით ქუბრიაშვილი
2 იური ნატრიაშვილი
1 დავით დადუნაშვილი

სათადარიგონი

16 შოთა მელიქიძე
17 სიმონ მაისურაძე
18 კახა უჩავა
19 ბესიკ უდესიანი
20 ბიძინა სამხარაძე
21 მერაბ კვირიკაშვილი
22 გიორგი შკინინი

გაიდო კოთოლაშის ფოტო

მიხეილ ყაველაშვილი

მოთხოვნა გადადგომაა!

ჭადრაკის სასახლის საფეხბურთო ფორუმი

გუშინ ჭადრაკის სასახლეში სამმა ორგანიზაციამ — „ჩვენი ფეხბურთი“, „ქომაგთა ლიგა“ და „გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს“ — გაერთიანებული ფორუმი მოაწყო, სადაც მათი მხარდამჭერები მივიდნენ. დარბაზი მთლიანად შეივსო, ხოლო ვინც იქ ვერ მოხვდა, ეზოში დამონტაჟებული დინამიკებით უსმენდა გამომსვლელებს. ბევრი ნაცნობი სახე იყო — ვეტერანი ფეხბურთელები, ჟურნალისტები, მსახიობები, მუსიკოსები, პოლიტიკოსები, უბრალო ქომაგები...

ფორუმს მსახიობი გია ბურჯანაძე უძღვებოდა.

შეიქმნა „ფეხბურთის გულშემატკივართა დარბაზი“, რომელმაც მოითხოვა, ამა წლის 13 მაისამდე გადადგეს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი და ალმასკომი და დაინიშნოს რიგგარეშე არჩევნები...

ვლადიმერ გუცაევი: „ფედერაციის ხელმძღვანელობა არაფერს აკეთებს, რათა ფეხბურთმა თუნდაც ერთი ნაბიჯით წინ წაიწიოს. ამის ატანა აღარ შეიძლება. 2005 წელს ნოდარ ახალკაცი, რომელსაც პრეზიდენტად არ ვცნობ, როგორც იტყვიან, „შემოგვიგდეს“, ხოლო რაც შარშან გააკეთეს, ეს სხვა არაფერია, თუ არა ქართული საფეხბურთო სამყაროსთვის შეფურთხება. კატეგორიულად მოვითხოვ რიგგარეშე არჩევნებს, რაც ჩემი ბრძოლის მთავარი მოტივი იქნება. თუ ფედერაცია ამას არ გააკეთებს, მაშინ კატეგორიული ზომების მიღება მოგვიწევს. ჩვენ უნდა ჩავატაროთ გამჭვირვალე არჩევნები, რათა ფედერაციის სათავეში წესიერი პრეზიდენტი მოვიდეს“.

მიხეილ ყაველაშვილი: „რადგან ამ ქვეყანაში გავჩნდით, ვალდებულნი ვართ, მას ბოლომდე ვემსახუროთ. ქართულ ფეხბურთში მოღვაწე ხალხს მინდა ვუთხრა, რომ დღეს ნეიტრალურ მდგომარეობაში ყოფნა დანაშაულია. საქართველოში ბევრი ნიჭიერი მოზარდია, მაგრამ შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მათი ნიჭი კვდება. უხეში შედარება რომ მოვიყვანოთ, ეს აბორტის ტოლფასია. დღესდღეობით, ფედერაცია ნაკრების ახალ მთავარ მწვრთნელს ეძებს, რაც, უბრალოდ, შეურაცხმყოფელია. ვთვლი, რომ რიგგარეშე არჩევნები უნდა ჩატარდეს. თავის დროზე, ფედერაციამ კარგად გააპიარა ლოზუნგი „ჩვენ ერთი გუნდი ვართ“, თუ ისინი მართლა ერთ გუნდში არიან, მაშინ კლაუს ტოპმიოლერის წასვლის შემდეგ, საკუთარი პოსტები ფედერაციის ხელმძღვანელობამაც უნდა დატოვოს. ჩვენ გვსურდა, რომ ქართულ ფეხბურთში არსებული უმძიმესი ვითარება ქომაგებამდე მიგვეტანა. გაჩერებას არ ვაპირებთ და რეგიონებშიც გავალთ“.

მამუკა კვარაცხელია: „ის თანხა, რაც ქართული ფეხბურთის განვითარებისთვის უნდა დახარჯულიყო, წყალშია გადაყრილი, კლაუს ტოპმიოლერმა საქართველოში აღებული ფულით მდინარე მოზელის ნაპირებზე ვენახები შეიძინა და ახლა გერმანიიდან დაგვცინის. ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ მოსვლის დღიდან 30 მილიონი ლარი დახარჯა და ამ ორგანიზაციაში უკვე იმდენი კაცი მუშაობს, რომ ორგანიზაციის სახელფასო ფონდი 2 900 000 ლარია. ეროვნულ ნაკრებში მოღვაწე ქართველ მწვრთნელებს საერთო ჯამში 200 000 ლარი აქვთ აღებული, როდესაც ალენ ჟირესის გაგდებისთვის ფედერაციამ ჯარიმის სახით 332 000 ლარი გადაიხადა. 2005 წლის ჩანაწერში დაფიქსირებულია, რომ ერთ-ერთი მატჩის ხარჯი იყო — 142 000 ლარი, მაგრამ მითითებული არ არის, რაში დაიხარჯა ეს ფული. 2006 წლის მონაცემებით, რომელიღაც მატჩის ხარჯი 44 000 ლარი ყოფილა. ამ შემთხვევაშიც დაფიქსირებული არ არის, ფული სად წავიდა. ეტყობა, ფედერაციის ხელმძღვანელობამ ჭკუა იხმარა და 2007 წლის საბიუჯეტო ხარჯებში მსგავსი რამ აღარ დაუფიქსირებია. ჩემი მონაცემებით, ტოპმიოლერი კუთვნილ ხელფასს ბოლო კაპიკამდე აიღებს. როგორც იცით, გერმანელმა განაცხადა, რომ საქართველოს ნაკრები თავად დატოვა, ვინაიდან მას ანაზღაურებას არ აძლევდნენ. გარდა ამისა, იგი დაიმუქრა, რომ საჩივარს ფიფას და საქართველოს პრეზიდენტს გაუგზავნიდა. აქედან გამომდინარე, ფედერაციის ხელმძღვანელობა სასწრაფოდ გაემგზავრა გერმანიაში, რათა ტოპმიოლერისთვის პირზე „ხელი აეფარებინა“, რათა მას პრეზიდენტი კიდევ ერთხელ არ ეხსენებინა“.

ზურაბ პეტრიაშვილი: „ჩვენი ფეხბურთი ოთხ ხის ბოძზე დადგმულ სახურავს მაგონებს, არადა, ყველამ კარგად იცის, რომ სახლის მშენებლობა საძირკვლიდან იწყება. საჭიროა, მოწესრიგდეს მდგომარეობა ბავშვთა ფეხბურთში, ავამაღლოთ ეროვნული ჩემპიონატის დონე, გამოვაცოცხლოთ ფეხბურთი რეგიონებში, ავაღორძინოთ საფეხბურთო ინფრასტრუქტურა... „ტორპედო“ და „კოლხეთი“ ჩემპიონატიდან იმიტომ მოკვეთეს, რომ მათ 300 ათასი ლარის გარანტია ვერ წარმოადგინეს. თბილისის, აფხაზეთისა და სამეგრელოს რეგიონალური ფეხბურთის ფედერაციები უსახსროდ დატოვეს, რადგან მათ 2007 წლის 13 მაისს არჩევნებში ახალკაცს მხარი არ დაუჭირეს. იგივე გაუკეთეს გურიის რეგიონალურ ფედერაციას. ფეხბურთის ფედერაციის ამჟამინდელმა ხელმძღვანელობამ საფეხბურთო სამყარო ორად გახლიჩა. ნაცვლად იმისა, რომ მილიონები ქართული ფეხბურთის აღორძინებას მოხმარებოდა, ამხელა ფული ვიღაც ხელმოცარულ გერმანელ მწვრთნელს მისცეს. დროა, ფედერაციაში ისეთი ხალხი მოვიდეს, რომლებმაც საქმის კეთება იციან“.

ნუკრი ლოლაძე

დავით სილაგაძე: არაკომპეტენტურთან ალმასკომში მე არაფერი მესაქმება

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომი ერთი კაცით შეთხელდა: ბოლნისის „სიონის“ ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა **დავით სილაგაძემ** განცხადება შეიტანა ალმასკომიდან გასვლის თაობაზე. გუშინვე სილაგაძე ფედერაციასთან დაპირისპირებულ ორგანზაცია „ჩვენი ფეხბურთის“ პრესკონფერენციაზე გახლდათ, თუმც ჩვენთან საუბარში თქვა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მაინცდამაინც ამ ორგანიზაციის აქტიური წევრი გავხდებიო...

გაიდო კოთოლაშის ფოტო

— ალმასკომიდან წამოსვლის მიზეზებზე გვითხარით...

— გადავხედოთ ქართული ფეხბურთის დღევანდელ მდგომარეობას და მიზეზი ნათელია. არაკომპეტენტურთან ალმასკომში ყოფნა აღარ მსურს. მე ვერ წარმომიდგენია, ალმასკომი მწვრთნელის ეროვნულ ნაკრებში დარჩენის საკითხს წყვეტს და ის მწვრთნელი სხდომას არ ესწრებოდეს. კლაუს ტოპმიოლერისთვის რომ პასუხისმგებლობა დაეკისრებინათ და ლიტვასთან სტუმრად წაგებისთვის წნეხში მოექციათ, ლიტვა, ლატვია და ჩრდილოეთ ირლანდია აღარ მოხდებოდა. მე ვერ დავინახე ჩემი როლი ალმასკომში — იქ არ იყო მსჯელობა, აწონ-დაწონვა... სად გაგონილა, ჯერ მწვრთნელის დარჩენას ემხრობოდე, რამდენიმე დღეში კი მის მოხსნას დაუჭირო მხარი. ახლა კი დაწყებულია ლაპარაკი, ძლიერი მწვრთნელი ჩამოგვყავსო...

— განა ცუდია კარგი მწვრთნელის ჩამოყვანა?

— არა, მაგრამ მარტო მწვრთნელში ხომ არაა საქმე? ფედერაციამ საქმის კეთება დაიწყო სახურავიდან, ამ დროს კი კატასტროფული მდგომარეობაა ბავშვთა ფეხბურთში, მსაჯებში, ეროვნულ ჩემპიონატში... 2-3 კლუბია ქვეყანაში, რომლებსაც ელემენტარული პირობები აქვთ, დანარჩენებს კი გასვლით მატჩებზე ჩასვლა უჭირთ. მთავარ მსაჯს რომ 172 ლარს მისცემ და თბილისიდან ბათუმში უნდა ჩავიდეს სამსაჯოდ, როგორ გგონიათ, ყველა გაუძლებს ცდუნებას და ქრთამზე ხელი არ წაუცდება?! მისცენ სამყოფი და აღარ იქნება ეს გაუთავებელი დავა აღებ-მიცემობაზე. ბავშვი რომ 16 წლის ხდება, მერე საქართველოში მინდორს ვერ ნახულობს და მიდის სომხეთში, ყაზახეთში და მეშვიდეხარისხოვან საფეხბურთო ქვეყნებში... დღეს ის ადამიანი არ მეგულება, ვინც იტყვის, ქართულ ფეხბურთში კარგი მდგომარეობააო. იმედი მაქვს, ფედერაციის სათავეში ის ხალხი მოვა, ვინც საქმეს გააკეთებს.

— „ჩვენი ფეხბურთი“-ში ხომ არ აპირებთ შესვლას?

— მე ყველა იმ პიროვნებას დავუდგები გვერდში, ვისაც ქართული ფეხბურთის სწორი გზით წაყვანის გეგმა აქვს, ჯერჯერობით კი თავისუფალი ვარ. შესაძლოა, რომელიმე კლუბში ვიმუშავო, რაც საკმაოდ წარმატებით გამომდიოდა და „სიონში“ ჩემი ვიცე-პრეზიდენტობისას კლუბი ჩემპიონი გახდა. ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციოში კი სხვებივით არ შევრცხვენილვართ — „ბაკი“ გამოვთიშეთ და მერე იმ „ლევსკისთან“ წავაგეთ, რომელმაც იტალიურ „კიევოს“ სძლია და ჯგუფურ ეტაპზე გავიდა...

...ერთიც, მე ალმასკომში ცუდი ურთიერთობა არავისთან მაქვს. უბრალოდ, გზას ვერ ვხედავ. ზუსტად ვიცი, ბოლო ორ წელიწადში ქართულ ფეხბურთში იმაზე მეტი თანხა დაიხარჯა, რამდენიც მანამდე 15 წელიწადში ერთად აღებული. და რა გამოვიდა? გამოჩნდა, რომ არასწორი გზით მივდივართ.

ილია ნანობაშვილი

საფრანგეთი
II დივიზიონი. XXXIV ტური

ანჟერი 0:0 ნანტი

პორტუგალია
სუპერლიგა. XXVII ტური

ბელენენსეში 5:0 სეტუბალი

დანია
სუპერლიგა. XXV ტური

ესბიერგი 1:1 ოლბორგი

ნორვეგია
ტიპელიგა. IV ტური

ფრედრიკსტადი 2:0 ბოდიო გლიმტი

შვედეთი
ალსვენსკა. VI ტური

იურგორდენი 0:0 გაის

გიოტებორგი 2:0 აიკ

ტრელებორგი 1:2 ლიუნგსკილე

ჰალმსტადი 2:3 მალმიო

შვეიცარია
ჩელენჯლიგა. XXX ტური

კრინსი 0:1 ვადუცი

ჩეხეთი
გამბრინუს ლიგა

XXVI ტური

ტეპლიცე 3:1 სლავია

სლოვაკეთი
I ლიგა. XXVI ტური

ტრენჩინი 0:0 სენეცი

საქართველოს 19 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
II წრე. 22 ტური

ფოტო: ალექსანდრე ბურსელიძე

კვლავ რა ცხელია კვარაცხელია

მცხეთაში ისეთი თამაში იყო, 22-ე ტურის დანარჩენი ექვსი მატჩის მნიშვნელობა ერთად რომ გადაფარა. მოიგებდა „ვიტ ჯორჯია“? სატურნირო ცხრილი ძალიან დაიძაბებოდა. მოიგებდა „დინამო“? ჩემპიონი 99 პროცენტით გარკვეული იქნებოდა. არც ერთი და არც მეორე — ბურთმა ბევრი იფრინა დინამოელთა მეკარის დიდიე ოვონოს თავს ზემოთ, მაგრამ ხარიხას არ მოსცილდა...

დუშან უჭრინის გუნდმა სასურველ ფრეს მიაღწია და ახლა ოთხი ქულით უსწრებს ორ მდევარს.

სხვა საინტერესოც ბევრი მოხდა ამ ტურში, თუმც მთავარი თამაშიდან დავიწყეთ და ამითვე გავაგრძელოთ...

„ვიტ ჯორჯიას“ 7 ნომერ ლუკა რაზმაძეს 2008 წლის 18 აპრილი არასოდეს დაავიწყდება. უიღბლობაა, სამჯერ მოარტყა ბურთი მეტოქის ხარიხას, აქედან ორჯერ საჯარიმოთი და ერთხელაც პენალტით. სწორედ ამ თერთმეტმეტრიანს, 81-ე წუთზე რომ დაინიშნა, მოჰყვა დიდი შფოთი — დინამოელები არცთუ უსაფუძვლოდ მიიჩნევდნენ, ვიტელი პაატა დათუნაიშვილი თავისი ინიციატივით წაიქცაო. ისე, სტუმრები არც პენალტამდე იყვნენ მსაჯობით კმაყოფილნი და აკი, კლუბის მმართველმა დირექტორმა ბუბა ტყავაძემ გვითხრა კიდეც, მთელი მატჩის განმავლობაში ვგრძნობდით ზეწოლასო.

ტყავაძე ნამატჩევს ამაოდ ცდილობდა მატჩის დამკვირვებელთან დალაპარაკებას. საპრესკონფერენციო ოთახში არც ჟურნალისტები შეგვიშვეს და შენობის გარეთ მოვისმინეთ მწვრთნელების რადიკალური აზრები: დინამოელმა დუშან უჭრინმა გვითხრა, 35 წელია, მწვრთნელი ვარ და ასეთი მსაჯობა პირველად ვნახეო. ნესტორ მუმლაძემ კი, არა მგონია, მსაჯებს დღეს რამე ცუდი გავლენა მოეხდინათო.

რაც შეეხება უშუალოდ თამაშის სცენარს, დინამოელებს ორი კარგი მომენტი ჰქონდათ, თუმც ვიტელებს უფრო ბევრჯერ შეეძლოთ გატანა და საერთოდაც, უპირატესობას ისინი ფლობდნენ. ტყავაძემ კი გვითხრა, ფრე მოსალოცი ნამდვილად არაა, მაგრამ იმის ფონზე, რაც მინდორზე ხდებოდა, კარგი შედეგიაო.

დარჩენილ ოთხ ტურში „დინამოს“ ერთი წაგების უფლება აქვს და ამის ალბათობა საკმაოა — ზესტაფონშია ჩასასვლელი. დანარჩენი სამი თამაშიდან კი, ეჭვი გვაქვს, დინამოელებს ყველაზე მეტად თანაქალაქელ „ლოკომოტივთან“ გაუჭირდებათ.

„ზესტაფონს“ ძალიანაც აინტერესებდა მცხეთური ანგარიში, მაგრამ იმავე დროს, თავის საქმესაც აკეთებდა, „მერანის“ კარს შტურმავდა და აუარება საგოლე შანსიდან ექვსი გამოიყენა. ჰეთ თრიქი გაახერხა ბექა გოცირიძემ და სხვებსაც ბლომად შეეძლოთ გატანა, ან კი როგორ უნდა გამკლავებოდა „მერანი“ მასპინძლებს, როცა სულ უწვერული, უმაღლეს ლიგაში გამოუცდელი ბიჭები ათამაშა.

დავით ეჯიბიშვილის გუნდი უნიკალური რამ არის — რამდენი ფეხბურთელი ათამაშეს ამ სეზონში, მგონი, თავადაც ვერ ითვლიან, მაგრამ ეჭვი გვაქვს, 50-ზე მეტი...

„ამერმა“ და „ოლიმპმა“ თავიანთი მატჩები მოიგეს და ისევ ქულაა მათ შორის სხვაობა — გლდანელები წინ არიან, მეოთხე ადგილი უკავიათ. გიორგი ჩიხრაძის გაწვრთნილებმა უმაღლეს ლიგაში დარჩენისთვის მებრძოლ „ბათუმს“ 4:1 სძლიეს, რუსთაველებმა კი ზუგდიდში „მგლებთან“ 2:0 იმარჯვეს.

რამდენიმეტურიანი შესვენების შემდეგ გოლი გაიტანა დავით დევდარიანმა, ვინც ბოლო მატჩებში აშკარად ვერ იყო ფორმაში, არადა, რა ღონივრად დაიწყო მეორე წრე...

ერთი ტურიც და, ალბათ, „დილა“ პირველლიგელი გახდება — გორელებისთვის, ვინძლო, ბოლო შანსი იქნებოდა „სიონთან“ მოგება, მაგრამ ბოლნისელები სხვანაირად ფიქრობდნენ და აკი, შოთა ჯიქიას გვიანი გოლით იმარჯვეს კიდეც.

ოქროს სამი ქულა აიღო „ლოკომოტივმა“, რომელმაც შინ თემურ ფარულავას ეული გოლით სძლია თასის ნახევარფინალისტ „ბორჯომს“ და სამშვიდობო საფეხურზე აძვრა — მეორე წრეში პირველად დააღწია თავი გასავარდნ ადგილს.

ბოლოდან მეოთხეზე, ანუ პირველლიგელთან გადასათამაშებელ ადგილზეა კობა ჟორჟიკაშვილის „სპარტაკი“ — ცხინვალელებმა ახალციხეში საჭირო ქულა (0:0) აიღეს, თუმცა შეტევაში ძალიან უნიათოდ გაისარჯნენ...

ილია ნანობაშვილი

მგლები 0:2 ოლიმპი
ლოკომოტივი 1:0 ბორჯომი
ამერი 4:1 ბათუმი
დილა 0:1 სიონი
ვიტ ჯორჯია 0:0 დინამო
მესხეთი 0:0 სპარტაკი
ზესტაფონი 6:1 მერანი

დინამო	22	19	1	2	53:12	58
ვიტ ჯორჯია	22	17	3	2	40:10	54
ზესტაფონი	22	17	3	2	51:12	54
ამერი	22	13	2	7	41:24	41
ოლიმპი	22	12	4	6	21:15	40
მესხეთი	22	9	5	8	23:23	32
ბორჯომი	22	8	4	10	25:27	28
მგლები	22	8	3	11	21:24	27
სიონი	22	7	5	10	23:30	26
ლოკომოტივი	22	5	5	12	15:26	20
სპარტაკი	22	4	6	12	8:23	18
მერანი	22	5	1	16	12:45	16
ბათუმი	22	4	3	15	13:41	15
დილა	22	1	5	16	8:44	8

ბომბარდირები

14 - ჟ. ხუციშვილი	*დინამო*
12 - ბ. მერებაშვილი	*დინამო*
10 - დ. ტატანაშვილი	*ამერი*
შ. ვეკერა	*ზესტაფონი*

23-ე ტური

25 აპრილი, პარასკევი
ბათუმი – ვიტ ჯორჯია
სიონი – ოლიმპი
ამერი – მგლები
26 აპრილი, შაბათი
ბორჯომი – დილა
დინამო – მესხეთი
მერანი – ლოკომოტივი
სპარტაკი – ზესტაფონი



სიმბოლური ნაკრები

გია გურული: ჟაკ სანტინიმ 10 დღე ითხოვა



ფოტო: ფიფა.ინფო

ვინ იქნება ეროვნული ნაკრების ახალი თავკაცი — ეს კითხვა ბოლო დროს ყველაზე აქტუალურია ქართულ ფეხბურთში. როგორც იცით, რამდენიმე გვარი უკვე გამოიკვეთა, მათ შორის, ყველაზე მკაფიო ხორვატი ბრანკო ივანოკოვიჩია. თუმც საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სხვა ვარიანტებზეც მუშაობს, კერძოდ, გია გურულის მეშვეობით ფრანგი მწვრთნელის შესაძლო ჩამოყვანაზე. გურულს გუშინ საფრანგეთში დავუკავშირდით...

ულიე და მეტსიუ გამორიცხულია

— რამდენადაც ვიცით, რამდენიმე ფრანგ მწვრთნელთან უნდა გელაპარაკათ...

— ჟაკ სანტინის უკვე ვესაუბრე, სხვებს — ჯერ არა. ჟერარ ულიე გამორიცხულია, საფრანგეთის ნაკრების დირექტორის პოსტზეა და სამსახურის შეცვლას არ აპირებს. ბრუნო მეტსიუ კი დუბაიში მუშაობს, ეს ვარიანტიც არ გამოვიდა...

— სანტინიმ რა გითხრათ?

— დაახლოებით 10 დღეში იტყვის პასუხს, დრო ითხოვა მოსაფიქრებლად. სანტინის რამდენიმე კლუბისგან აქვს წინადადება, თავადაც მითხრა ამის თაობაზე.

— როგორ შეატყვეთ, ალმაცერად ხომ არ უყურებს საქართველოს ნაკრების ვარიანტს?

— არ ვიცი... ჩემი წინადადება არ გაჰკვირვებია, მწვრთნელია და ბუნებრივია, ყველა ვარიანტს განიხილავს. უარი არ უთქვამს, ესე იგი, შეიძლება, საქართველოს ნაკრებში მუშაობაზე დათანხმდეს.

— კიდევ რომელიმე მწვრთნელთან ხომ არ აპირებთ საუბარს?

— ჯერ სანტინის პასუხი გავიგოთ...

ილია ნანობაშვილი

ნუკრი რევიშვილმა რუბინთან დაიწყო

ნუკრი რევიშვილმა ყაზანის „რუბინთან“ ერთად ვარჯიში დაიწყო.

გეცოდინებათ, საქართველოს ნაკრების მეკარემ წინა თვეში გერმანიაში მენისკის ოპერაცია გაიკეთა, რის გამოც ჩრდილოეთ ირლანდიასთან სანაკრებო მატჩიც გაუცდა.

ერთი კია, რევიშვილს ძალიან გაუჭირდება „რუბინის“ ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა. ყაზანელებს ხომ პრემიერლიგაში ექვსი ტურიდან ექვსი მოგება აქვთ და ასეთ დროს მწვრთნელმა შემადგენლობა შეცვალოს, ძალიან გვეეჭვება — რევიშვილი არც მანამდე იყო გაფუფუნებული სათამაშო პრაქტიკით...

ილია ნანობაშვილი

დავით თარგამაძე საჩემპიონოდ ემზადება

საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების ნახევარმცველ დავით თარგამაძეს დაახლოებით ერთი თვეა, არ უვარჯიშია.

გეხსომებათ, 18 წლის თარგამაძე 25 მარტს საქართველო-ლატვიის ახალგაზრდული ნაკრებების მატჩისთვისაც იყო გამოძახებული, თუმც ვერ ჩამოვიდა.

გატეხილი კოჭი — საკმაოდ სერიოზული ტრავმა ჰქონდა ჩვენიანს.

თარგამაძე „ფრაიბურგის“ 19-წლამდელთა გუნდში ერთ-ერთი საუკეთესოა, მისიანები კი ამ ასაკის ბუნდესლიგაში მეორე ადგილზე არიან და ორი ქულით ჩამორჩებიან ლიდერ „შტუტგარტს“. „ფრაის“ ყმაწვილები კვირას სწორედ „შტუტგარტს“ ხვდებიან და არაა გამორიცხული, თარგამაძემ ამ მატჩში ითამაშოს.

ილია ნანობაშვილი

ქართველები უცხოეთში

სახელი გვარი	გუნდი	სად	მეტოქე	წთ	შენიშვნა	თ	გ	ა
იტალია. სერია A								
კახა კალაძე	მილანი	შ	რეჯინა 5:1	90		26	0	5
ლევან მჭედლიძე	ემპოლი	ს	კალიარი 0:2	0	განაცხადში არ იყო	0	0	19
ინგლისი. პრემიერლიგა								
ზურაბ ხიზანიშვილი	ბლეკბერნი	შ	მანჩესტერი 1:1	0	განაცხადში არ იყო	17	0	9
ავსტრია. მაქსბუნდესლიგა								
გიორგი შაშიაშვილი	შტურმი	ს	ლინცერი 2:1	90		32	0	4
ავსტრია. ერსტელიგა								
მირზა ბჟალავა	ლუშტენაუ	ს	ლეობენი 0:3	90		9	0	2
გერმანია. ბუნდესლიგა								
ლევან კობიაშვილი	შალკე	შ	კოტბუსი 5:0	0	განაცხადში არ იყო	11	1	3
ალექსანდრე იაშვილი	კარლსრუე	შ	ჰანზა 1:2	0	სათადარიგო	24	0	10
გერმანია. მეორე ბუნდესლიგა								
მათე ღვინიანიძე	მიუნხენ 1860	შ	ვეჰენი 2:1	0	ტრავმირებულია	13	0	10
ოთარ ხიზანეიშვილი	ფრაიბურგი	ს	კობლენცი 2:3	0	განაცხადში არ იყო	2	0	6
გიორგი ონიანი	კარლ ცაისი	შ	გლადბახი 2:2	0	სათადარიგო	11	0	17
ილია კანდელაკი	კარლ ცაისი	შ	გლადბახი 2:2	90		15	0	17
გიორგი სეთურიძე	კარლ ცაისი	შ	გლადბახი 2:2	0	სათადარიგო	1	0	17
ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი								
შოთა არველაძე	ლევანტე	შ	ხეტაფე 3:1	0	სათადარიგო	3	0	20
რუსეთი. პრემიერლიგა								
მალხაზ ასათიანი	ლოკომოტივი	ს	ცსკა 0:0	0	სათადარიგო	0	0	3
დავით მუჯირი	ლოკომოტივი	ს	ცსკა 0:0	0	სათადარიგო	2	0	3
დავით კვირკველია	რუბინი	შ	ამკარი 1:0	90		6	1	1
ლაშა სალუქვაძე	რუბინი	შ	ამკარი 1:0	59	შეცვალეს	4	0	1
ნუკრი რევიშვილი	რუბინი	შ	ამკარი 1:0	0	განაცხადში არ იყო	0	0	1
გოგიტა გოგუა	ნალჩიკი	შ	სპარტაკი 1:2	90	გააფრთხილეს	6	0	11
ალექსანდრე ამისულაშვილი	ნალჩიკი	შ	სპარტაკი 1:2	90		6	0	11
დავით სირაძე	ნალჩიკი	შ	სპარტაკი 1:2	90		6	0	11
ლევან გვაზავა	ლუჩ-ენერგია	ს	ტერეკი 1:2	90		6	1	14
რუსეთი. პირველი დივიზიონი								
გედევან დარასელია	ტორპედო	ს	დინამო 2:1	0		0	0	14
ვალერი აბრამიძე	ანჟი	შ	კამაზი 2:0	90		6	1	2
გიორგი ნავალოვსკი	ანჟი	შ	კამაზი 2:0	90	გააფრთხილეს	5	0	2
მიხეილ აშვეთია	ანჟი	შ	კამაზი 2:0	69	შეცვალეს	5	2	2
ზურაბ არზიანი	ანჟი	შ	კამაზი 2:0	30	შეცვლაზე ითამაშა	3	0	2
რევაზ ჯიქია	ანჟი	შ	კამაზი 2:0	0		2	0	2
გოჩა ხოჯავა	ანჟი	შ	კამაზი 2:0	60	2 საგოლე პასი, შეცვალეს	6	1	2
რევაზ ბარაბაძე	ანჟი	შ	კამაზი 2:0	0		2	0	2
პაატა ჯინჭარაძე	ბრიანსკი	ს	ურალი 0:2	90		4	0	15
გია გრიგალავა	სკა	შ	ჩერნომორეცი 1:0	0	ტრავმირებულია	0	0	12
შვეიცარია. სუპერლიგა								
სანდრო იაშვილი	თუნი	ს	ბაზელი 1:3	0	სათადარიგო	20	1	10
ჩეხეთი. გამბრინუსლიგა								
გიორგი განუგრავა	ბოლესლავი	ს	ზლინი 1:0	0	სარეზერვო გუნდშია	2	0	7
სლოვაკეთი. კორგონ ლიგა								
ირაკლი ლილუაშვილი	ნიტრა	ს	დუბნიცა 1:2	7	შეცვლაზე ითამაშა	3	0	4
დანია. სუპერლიგა								
გიორგი ფოფხაძე	ვიბორგი	შ	მიდტიულანდი 1:1	0	სათადარიგო	7	0	11
უკრაინა, ვიშა ლიგა								
ოთარ მარცვალაძე	დინამო	ს	ნაფტოვიკი 3:0	0		0	0	1
დავით იმედაშვილი	დინამო	ს	ნაფტოვიკი 3:0	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	1
კახა ალადაშვილი	ხარკოვი	ს	ზაკარპატიე 3:0	0	დისკვალიფიცირებული	6	0	13
ლადო ბურდული	ზარია	შ	მ. დონეცკი 1:1	68	საგოლე პასი, შეცვალეს	19	0	14
გიორგი ციმაკურიძე	ზარია	შ	მ. დონეცკი 1:1	22	შეცვლაზე ითამაშა	2	0	14
ლაშა ჯაკობია	ვორსკლა	შ	კრივბასი 2:1	0		0	0	10
ჯაბა კანკავა	დნიპრო	ს	არსენალი 1:2	0		19	3	4
სანდრო კობახიძე	დნიპრო	ს	არსენალი 1:2	0		1	0	4
გიორგი დემეტრაძე	არსენალი	შ	დნიპრო 2:1	0		18	3	7

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

პოეტთა სამფლობელო კილტიანის თვალით. ანუ რატომ არ ყრია თბილისში გვამები?

რასაც ქვემოთ წაიკითხავთ, ერთი შოტლანდიელი ფანის თვალით დანახული ქართული სინამდვილეა, საქართველო — შოტლანდიის მატჩზე რომ ჩამოვიდა და ჩვენს დედაქალაქს მცირე ხნით კიდევ რომ შემორჩა. ამ სქოთური შთაბეჭდილების წაკითხვის მერე ვიღაც სიცილით მოკვდება, ვიღაც — დაიბოღმება, ვიღაც კიდევ მწარედ ჩაიცინებს. მაგრამ ეს შთაბეჭდილებები უკვე დაწერილია და ინტერნეტშიცაა გამოკიდებული. ამდენად, თვალის დახუჭვა თავის მოტყუება იქნება. და ერთიც გვახსენდება, აჭარაში ასლანის მმართველობისას, როცა იქ სათამაშოდ გლაზგოს „სელტიკი" ჩავიდა, შოტლანდიელმა ჟურნალისტმა დაწერა: ვიარეთ, ვიარეთ და ქვეყნის დასალიერს მივადექით, სადაც აბრა იყო გამოკრული, ბათუმამდე კიდევ ამდენი და ამდენი კილომეტრიაო...

თბილისის მზიანმა შუადღემ რამდენიმე შოტლანდიელი ქომაგი საგონებელში ჩააგდო. როგორ უნდა გაეტარებინათ საქართველოში დარჩენილი საათები? ძველ ქალაქში გასულიყვნენ და გოგირდის აბანოში ებანავათ, რუსთაველის პროსპექტზე საყვავილე ორმოებში ჩაეკრათ ფეხი თუ სადმე ბარში ბრწყინვალე ქართული ღვინო დაეგემოვნებინათ? — ამ ბარებში რამდენადაც გემრიელია ღვინო, იმდენად ცუდია მომსახურეობა.

არც ერთი, არც მეორე და არც მესამე, კრის ჰასტონმა, საიმონ კელასმა და მე ისევ სტადიონისკენ გავწიეთ, რათა საქართველოს ჩემპიონატის ტოპ-თამაშის (პირველი ადგილი მესამის წინააღმდეგ) საშინელებანი გვენახა: თბილისის „დინამო" „ვიტ ჯორჯიას" ხვდებოდა.

„ჩელსის" ფანი ვარ და აქაური ბილეთის ფასმა, ცოტა არ იყოს, დამშოკა — სტადიონზე შესვლა 60 პენსი ღირდა. კიდევ უფრო გამაკვირვა კრისის თამამმა და გულწრფელმა განცხადებამ, ბიჭებო, გპატიჟებთო — გეგონება, მოსკოვის სტრიპტიზ-ბარში გატარებული მთელი ღამის საფასურს იხდიდა.

კომბინირებული ბილეთ-პროგრამის ახალი იდეა კი ბრიტანეთში ნამდვილად ვერ მოიკიდებდა ფეხს. აბა, წარმოიდგინეთ, თქვენს პროგრამას სტადიონის შესასვლელში ნაწილი რომ მოახიონ. ისე, ამაზე, თითქოს, კარგი ფულის გაკეთებაც შეიძლებოდა, მაგრამ ვეჭვობ, „ორი იყიდე და ერთი ცელოფანში ჩადე"-ს პრინციპმა თბილისში, თუნდაც 60-პენსიანი ბილეთების პირობებში გაამართლოს.

საქართველოში გამგზავრების წინ მითხრეს, რომ პოეტების ქვეყანაში მივდიოდი და ამიტომ ნამდვილად არ ველოდი „დინამოს" სტადიონის ტრიბუნაზე ერთი კაცის ნახვას. ეს კაცი რაღაცებს ყიდდა. ისე, როგორც ნამდვილ მუშათა კლასის პოეტს შეშვენის, ხელში დაჭმუჭნული საქაღალდიდან ამოშვერილი პატარა ფურცლები ეჭირა. თავიდან „ფანზინი" მეგონა (ფანებისთვის კუსტარულად გამოშვებული გაზეთი), მაგრამ ერთმა ინგლისურად მოლაპარაკე ქართველმა ამიხსნა, რომ ეს პოეზიაა.

როდესაც ამ ბიჭს სამი ფურცელი ვთხოვე და 20 ლარი გავუწოდე, მისი სახე მოულოდნელი სიხარულისგან აენთო, მაგრამ მერე მიხვდა, რომ ამ ფულს ვერ დაახურდავებდა და მეც ვეღარაფერს ვიყიდდი. არადა, სამი ეგზემპლარის გაყიდვით ის თავის შარშანდელ გასაღებას ასამმაგებდა და ეს რომ არ გამოუვიდა, დაითრგუნა. ის ყიდდა რონალდინიოსა და დეივიდ ბექემის კარიკატურებსაც, ოღონდ ეს ნახატები ხუთი წლის ბავშვის ცუდ ნამუშევრებს ჰგავდა.

საერთოდ, აღმოსავლეთ ევროპისა ერთი რამ ვერ გამიგია: რატომ იყრის საერთო პროფილის მქონე მაღაზიები თავს ერთმანეთის მეზობლად? ერთ სპორტულ მაღაზიას სამი დღის განმავლობაში თუ ნახავ, დიდი ამბავია, მეოთხე დღეს ერთ ქუჩაზე ერთბაშად 10 დაგხვდება. და რაც ყველაზე სასაცილოა, ეს ყველაფერი ხდება მთავარ სტადიონთან.

სპორტული მაღაზიებიდან სტადიონისკენ ქუჩის გადაკვეთას კი დროის ზუსტად შერჩევის უნარი და იღბალი სჭირდება. სწორედ ამ ქუჩაზე ვიხილეთ მანქანის თბილისურად ტარების ყველაზე ცუდი მაგალითი: ბიჭს მანქანა მოჰყავდა, მუხლებზე ორი წლის ბავშვი ეჯდა, ეს ბიჭი ცალი ხელით მობილურზე ლაპარაკობდა, მეორეთი კი ბავშვისთვის ქურთუკის გახდას ცდილობდა. საოცარია, რატომ არ ყრია ამ ქალაქის ქუჩებში ბევრი მკვდარი?

სტადიონის გვერდით შოტო არველაძის (ავტორი გულისხმობს შოთა არველაძეს) ბარის ნახვაა საინტერესო. აქ ძალოსნის კოსტუმია გამოფენილი, ოღონდ იმის მიხვედრას, თუ რა არის ეს, გარკვეული ძალისხმევა სჭირდება. ბარში გამოფენილია ყოფილი საბჭოეთისა და მერე საქართველოს სპორტულ გმირთა სამახსოვრო ნივთების მომაჯადოვებელი კოლექცია. კედლები სტუმარი ვარსკვლავების ხელმოწერებითაა სავსე, მაგრამ კაცმა შეიძლება იფიქროს, რომ ეს ვარსკვლავები ან კალათბურთელები იყვნენ, ან ხელის მოსაწერად სკამებზე ადიოდნენ. ჩემი მხრივ შოტოს (შოთას), აი, რას ვურჩევდი: ბარის შენობა გარედან ძალიან წაგავს უბრალო ოფისს და იქნებ ამას რაიმე მოუხერხოს.

სტადიონის ტერიტორიაზე სეირნობისას „ვიტ ჯორჯიას" ავტობუსს წავაწყდით. ის, ნამდვილად არ ჰგავდა 21-ე საუკუნის ტრანსპორტს, 1959 წლის კომკავშირული თამაშებისთვის შექმნილ ხელოვნების ნიმუშს უფრო მოგაგონებდათ. გაცვეთილი საბურავები, ჭუჭყიანი ინტერიერი და ექსტერიერი, სკამების უმეტესობა კი დამტვრეული — ძალიან გაგვიკვირდა, საქარე მინა მთელი რომ ჰქონდა. აი, ეს გახლავთ საუკეთესო, რისი თქმაც ამ ავტობუსზე შეიძლება. ვერაფრით იტყოდი, ავტობუსის უკანა ნაწილში საოპერაციო მაგიდა იდგა თუ ნამდვილი სკამი იყო.

სტადიონზე თბილისის „დინამოს" ატრიბუტიკის კატასტროფული სიმცირეც ვიგრძენით — სამკერდე ნიშანიც კი ვერსად ვნახეთ. სამაგიეროდ, იქ იყო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სიმბოლიკიანი კედლის საათები, კაცმა რომ თქვას, ის, რასაც შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაცია, ალბათ, ინატრებდა, მაგრამ ვფიქრობ, საამისო მოდა უკვე გასულია. ერთადერთი, რაც კლუბთან იყო დაკავშირებული, სტადიონის ტერიტორიაზე მდებარე სპორტული მაღაზია გახლდათ, სადაც „დინამოს" შარფებს ძალიან ძვირად ყიდდნენ. და, რასაკვირველია, საშინლად დამთრგუნველი იყო დახლებზე უამრავი ბრაზილიური მაისურის ხილვა, მაშინ, როდესაც ადგილობრივი გუნდების მაისურებს ერთ მაღაზიაშიც ვერ მოჰკრავდით თვალს.

„დინამო" კი, წესით, ქართული „ქუინზ პარკი" უნდა იყოს. ეს არის გუნდი, რომელიც თავის დროზე, სტადიონზე 110 000 კაცს კრებდა და ჩემპიონთა თასზე „ლივერპულს" 3:1-ს უგებდა (ავტორის შეცდომა. სინამდვილეში 3:0), იმ პარასკევ შუადღისას კი მაქსიმუმ 250 ადამიანის წინაშე გამოდიოდა. ესეთი საშინელების მიზეზი მძიმე დროების გარდა ისიც ყოფილა, რომ ნაკრების მწვრთნელ (აწ უკვე ყოფილ მწვრთნელ) კლაუს ტოპმიოლერს თბილისში ყოფნის დღეებში ქართველებისთვის თამაშების გადანაწილება უთხოვია, რაც შეიძლება, მეტი ფეხბურთელის ნახვა მინდაო.

მაყურებლის ასეთი დასწრებით კი საფეხბურთო კლუბის შენახვას ვინმე პატრონის ან მაფიის მიერ სჭირდება დაფინანსება. შესაძლოა, ორივე ერთდროულადაც კი იყოს აუცილებელი.

და ღმერთმა იცის, რამ აიძულა „ქუინზ პარკ რეინჯერსის" ოდინდელი მოთამაშე და ავსტრალიის ნაკრების ყოფილი კაპიტანი ნედ ზელიჩი, ოფლი „დინამოს" დაცვაში ღვაროს. იმდღევანდელი შეხვედრის ყველაზე გამორჩეული ფეხბურთელებიც ჩამოყვანილები იყვნენ — გაბონელები, დიდიე ჟანვიერ „ოვონო" ებანგი და ედუარდ „აკირემი", რომლებიც, ალბათ, თავიანთ აგენტს დიდ მადლობას უძღვნიან, ასეთი მაღალი კლასის კაბრიოლეტში რომ ჩასვა.

საკმაოდ ხარისხიანი სტადიონის გარშემო საინტერესო მოგზაურობა თბილისის რკინიგზის სადგურის მეტისმეტად დანგრეული შემოგარენის დათვალიერებით დასრულდა. ვერ ვიტყვი, რომ, რაც ვნახე, ცუდი იყო, მაგრამ, იქ მდებარე ბაზრობა ადგილ-ადგილ კარვებისა და ცელოფნებისგან შექმნილ დევნილთა ბანაკს ჰგავდა. ბანაკს, სადაც ადამიანები მოღუშულები დგანან.

იქნებ, ეს ადამიანები „დინამოს" ქომაგები იყვნენ, რომელთაც ბილეთში 60 პენსი ვერ გადაიხადეს და უკმაყოფილონიც დარჩნენ, მათი საყვარელი გუნდის 8-თამაშიანი წაუგებელი სვლა რომ შეწყდა? ან, იქნებ, ეს, უბრალოდ, მძიმე თბილისური ცხოვრების მორიგი დღის პირისპირ დარჩენილი ხალხი იყო?

საქართველოსთან დაკავშირებით კითხვა ყოველთვის მეტია, ვიდრე პასუხი.

კევინ დონელი

შარშან ინტერტოტოზე „ზესტაფონმა“ ითამაშა და პირველივე წრეში გავარდა ყაზახურ „ტობოლთან“ (0:3, 2:0)

ლუქსემბურგი, რუსეთი, გერმანია

უცნობი ქართული კლუბი ინტერტოტოს ცნობილ გზაზე

გუშინ უეფამ ინტერტოტოს თასის გათამაშების წილისყრა ჩაატარა და ამრიგად, გაირკვა ის ქვეყანა, რომლის გუნდსაც შეხვდება საქართველოს წარმომადგენელი.

პირველ ეტაპზე ქართული გუნდი ლუქსემბურგულს გაეჯიბრება.

პირველი მატჩი 21 ან 22 ივნისს გაიმართება, საპასუხო კი 28 ან 29 ივნისს.

თუ ქართულმა კლუბმა ეს ბარიერი გადალახა, მომდევნო ეტაპზე რუსულ კლუბთან („სატურნთან“ ან „მოსკვასთან“) მოუწევს შეხლა.

პირველი მატჩი 5 ან 6 ივლისს ჩატარდება, საპასუხო კი 12 ან 13 ივლისს.

მესამე ეტაპზე კი ქართულ-რუსულ გუნდებს შორის საუკეთესოს გერმანული კლუბი ელის.

მატჩები 19-20 და 26-27 ივლისს გაიმართება.

ჯერჯერობით, საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში საინტერტოტოო ადგილზე „ზესტაფონია“, თუმცა იმერლები თასის ნახევარფინალშიც არიან და თუ ამ ტურნირს წარმატებით დაავირგვინებენ, უეფას თასზე თამაშის უფლებასაც მოიპოვებენ, თუმცა ეს ყველაფერი დღეს სამარჩიელოა და სჯობს, დაველოდოთ, როგორ დასრულდება სეზონი.

კახა შალამბერიძე

პეპსის თასი დაინყო

გუშინ საზეიმოდ გაიხსნა ტრადიციული ტურნირი სკოლბურთში, რომელშიც 1 600-მდე საშუალო სკოლის 16 ათასი მოსწავლე მონაწილეობს.

ტურნირის გახსნის ცერემონიალს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაური, საქართველოს განათლების მინისტრი გია ნოდია და შოუ-ბიზნესის წარმომადგენლები დაესწრნენ.

ნოდარ ახალკაცი, სფფ-ის პრეზიდენტი: „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ შესანიშნავ ტურნირს ჩაუყარა საფუძველი და სასიხარულოა, რომ სკოლბურთი წლეულს მესამედ ტარდება. ამ ტურნირის პოპულარობაზე მიანიშნებს ისიც, რომ მონაწილეთა რაოდენობა ყოველ წელს მატულობს — ასეთი შეჯიბრებები ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას შეუწყობს ხელს და ეს ძალიან კარგია“.

ისევე, როგორც წინა გათამაშებებში, რეგიონული შეჯიბრებების მომგები გუნდები ზაფხულში, აჭარაში დაგეგმილ ფინალურ ეტაპზე გავლენ, გამარჯვებული კი საერთაშორისო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას.

შეგახსენებთ: სკოლბურთის შარშანდელმა ჩემპიონმა ზუგდიდის პირველი საჯარო სკოლის გუნდმა ბარსელონას ტურნირში მეორე ადგილი დაიკავა.

კახა შალამბერიძე

www.gff.ge

საქართველოს ჩემპიონატი

პირველი ლიგა 19

23 ტური

დასავლეთი

სამტრედია 4:1 მეშახტე

1:0 ჩომახიძე (22), 2:0 გაბედავა (43პ), 2:1 ჩუბინიძე (55), 3:1 ბაკარანძე (68), 4:1 კრავეიშვილი (80)

სამტრედია: ხურციძე, გოგია, კვესეიშვილი, გუბელაძე, ქობალია (ნინუა 67), გაბედავა, ეცადეიშვილი, ა. ივეჩიანი (ადეიშვილი 72), ჩომახიძე, კრავეიშვილი, ბაკარანძე (მამულაშვილი 80)

სათადარიგონი: ამაღლობელი, როხაძე, სუნიაევი, ბოხუა

მწვრთნელი: ბადრი ქორიძე

მეშახტე: გიორგაძე (მ. თორთლაძე 67), მ. ბოჭორიშვილი, წერეთელი, ცქიფურიშვილი, ჩუბინიძე, ხაჩიძე (ჭელიშვილი 62), ჯიშიაშვილი, ყურაშვილი, თევზაძე, მერკვილაძე, გ. გვენეტაძე

სათადარიგო: რ. კალანდაძე

მწვრთნელი: დავით გვენეტაძე

გაფრთხილება: წერეთელი

მსაჯი: ჯ. ბუშვილი

200 მაყურებელი

კოლხეთი 2:2 მაღაროელი

0:1 მდივნიშვილი (10), 0:2 ხაჭიპერაძე (15), 1:2 შუკაკიძე (30ს.ჯ.), 2:2 ციკოლია (52)

კოლხეთი: გ. შენგელია, დ. ნარსია, გ. სიჭინავა, გეგელია, ლუსტა, კილასონია, გოგნაძე, გვიჩია (მეგრელიშვილი 90), აბურჯანია (გოგონაია 86), ციკოლია, ხიზანიშვილი

სათადარიგონი: ჩემია, დ. მოისწრაფიშვილი, ზ. შენგელია, გახარია, ყურუა

მწვრთნელი: ზაზა ინიაშვილი

მაღაროელი: დოლაძე, ბიბილაშვილი, ეგაძე (ჯაჯანიძე 89), გ. ბრეგვაძე (გამცემლიძე 54), შუკაკიძე, გ. ილურიძე (სეფერთელაძე 78), ხაჭიპერაძე, ჩხარტიშვილი, ი. ტყებუჩავა, სევასტოპულო, მდივნიშვილი

სათადარიგონი: მამარდაშვილი, გაფრინდაშვილი, ცუცქირიძე, მ. სამხარაძე

მწვრთნელი: ბადრი ბრეგვაძე

გაფრთხილება: ციკოლია, აბურჯანია, სიჭინავა, გ. შენგელია, სევასტოპულო

მსაჯი: ა. ნონიკაშვილი

100 მაყურებელი

უნივერსიტეტი 3:1 ზესტაფონი 2

1:0 შველიძე (49პ), 2:0 ბოდოკია (61), 2:1 შარანგია (75), 3:1 ბოდოკია (89)

უნივერსიტეტი: კუჭუხიძე, გ. ტორაძე, წიქორიძე, დარჯანია, შველიძე, მორჩილაძე, ჭოღოშვილი (კვირიკაშვილი 77), ბასილაია, ქაშიბაძე, ბოდოკია, კუბლაშვილი (გ. ქორიძე 71)

სათადარიგონი: დვალიშვილი, მეფარიშვილი

მწვრთნელი: ედუარდ შავგულიძე

ზესტაფონი 2: ჯალალონია, შარანგია, ხუმარაშვილი, სანტოსი, ჟონატასი (ბერუაშვილი 55), გელაჭეიშვილი, კამლაძე (ბერძენაძე 55), გაბრიჩიძე, ბუკია, გორგიაშვილი, დ. ჯანელიძე (ბ. ცხადაძე 67)

სათადარიგონი: ო. ბოჭორიშვილი, ნებიერიძე

მწვრთნელი: მალხაზ ღონღაძე

გაფრთხილება: ბერუაშვილი, კუბლაშვილი

მსაჯი: გ. ვადაჭკორია

150 მაყურებელი

მერანი (მ) 2:1 ტორპედო

0:1 გაბუნია (45), 1:1 მუმლაძე (54), 2:1 ულენტი (57)

მერანი (მ): ლ. ძაგანია, აქუბარდია (ჩალაძე 46), ფარცვანია, ჩიკვაძე, კ. ძაგანია, გოგუა, პაპადოპულოსი, არდაშელია (ულენტი 29), ლომია, მუმლაძე, ციცხვაია (ბეგოიძე 58)

სათადარიგონი: ცაგარეიშვილი, ლ. ტორაძე, კვიტატიანი, შეროზია

მწვრთნელი: მალხაზ ფვანია

ტორპედო: დ. მემარნიშვილი, დათიაშვილი (ქათამაძე 64), ვაჩიბერაძე, ხარებავა, გაბუნია, ჭანკვეტაძე, კირკიტაძე, თვალავაძე (გოდერიძე 68), მეტონიძე (ბ. ჩხეტიანი 24), კილაძე, ქიმუცაძე

სათადარიგონი: გიორგობიანი, გურეშიძე, გოგიბერაშვილი, ჭყონია

მწვრთნელი: დავით ჯანაშია

გაფრთხილება: აქუბარდია, ძაგანია, მემარნიშვილი, გაბუნია, კირკიტაძე

მსაჯი: ვ. გუმბერიძე

300 მაყურებელი

ფაზისი 0:3 ხობი

მაღაროელი	23	18	3	2	48:17	57
მეშახტე	23	12	2	9	36:34	38
ზესტაფონი 2	23	12	2	9	39:24	38
მერანი (მ)	23	11	5	7	29:20	38
ხობი	23	9	6	8	33:25	33
ტორპედო	23	9	6	8	33:28	33
ყოლხეთი	23	8	7	8	29:32	31
სამტრედია	23	7	4	12	30:46	25
უნივერსიტეტი	23	7	3	13	19:26	24
ფაზისი	23	2	2	19	17:61	8

„ფაზისი“ მოხსნილია გათამაშებიდან

XXIV ტური

24 აპრილი, ხუთშაბათი

ხობი – ზესტაფონი 2

ფაზისი – მერანი (მ)

მეშახტე – ყოლხეთი

ტორპედო – სამტრედია

მაღაროელი – უნივერსიტეტი

აღმოსავლეთი

ამერი 2 3:0 ნ. დინ-მერანი 2

1:0 ჩიმაკაძე (14), 2:0, 3:0 გრძელიძე (69, 87)

ამერი 2: გვენცაძე, კეკელია, გვაძაბია, გ. ჯელაძე, დ. სიჭინავა, ბოჯგუა (გ. მუშკუდიანი 61), გ. სიჭინავა, სილაგავა, ვ. ჯელაძე (თ. სანიკიძე 54), ხუციძე, ჩიმაკაძე (გრძელიძე 46)

სათადარიგონი: ნაჭყეპია, ჩოხელი, ხარაძე

მწვრთნელი: დავით მახარაძე

ნ. დინ-მერანი 2: თევდორაძე, ქემუხტაშვილი, დაბრუნდაშვილი, ღვთისავრიშვილი, ს. შენგელია (ი. არველაძე 62), ა. შენგელია, ტოსტიაშვილი, გავაშელი (ი. ქავთარაძე 46), ი. შენგელია, კაკულია (გურჩიანი 74), ხუჭუა

სათადარიგო: ჩიტალაძე

მწვრთნელი: რევაზ ბარამიძე

მსაჯი: ვ. ელისაბედაშვილი

30 მაყურებელი

ოლიმპი 2 2:2 გაგრა

0:1 აბაშიძე (27პ), 1:1 გუგუჩია (54პ), 1:2 თოთაძე (74), 2:2 ტორონჯაძე (81)

ოლიმპი 2: გ. კალანდაძე, სარაჯიშვილი, გ. ოდიშარია, პაჭკორია, ჩიხრაძე, გ. იაშვილი (ცოცხალაშვილი 90), გურეშიძე, ზვიადაძე, მახარაშვილი (სულუხია 65), გუგუჩია (ლაფერაშვილი 85), ტორონჯაძე

სათადარიგონი: ვ. ლობჟანიძე, ი. დევდარიანი, გავაშელიშვილი, გალდავა

მწვრთნელი: გელა გომელაური

გაგრა: ბათიაშვილი, ქვრივიშვილი, გ. კვანტალიანი, ქაჯაია, თოთაძე, ცხადაია (ხელაძე 64), ჩარგეიშვილი, ლ. სეთურიძე (თ. მეტრეველი 51), ზ. დათუნაშვილი, შარიქაძე (ლალიანი 68), აბაშიძე

სათადარიგონი: ხომერიკი, ბ. ტეტუნაშვილი, ჩოჩია, სუხიშვილი

მწვრთნელი: გიორგი ჭიაბრიშვილი

გაფრთხილება: კვანტალიანი, პაჭკორია, აბაშიძე, თოთაძე, გურეშიძე

მსაჯი: ლ. ფანიაშვილი

100 მაყურებელი

ოლიმპიკი 0:1 მეშაძრე

0:1 ებანოიძე (5)

ოლიმპიკი: ემუხვარი, ბებუა, გ. ალავიძე, გოგიაშვილი, ფურცელაძე, მაისურაძე, ღვინიაშვილი (როსტომაშვილი 46), გ. იაშვილი, გ. ოქრუაშვილი (ქამუშაძე 70), ბელთაძე, ლაბარტყავა (შ. კვანტალიანი 53)

სათადარიგონი: დაუშვილი, ჯინჭარაძე

მწვრთნელი: ლევან მელიქია

მეშაძრე: პ. ოთარაშვილი (აბრამიშვილი 35), დონდოლაძე, ლ. ტყებუჩავა, ახობაძე, გვარუციძე, ლ. კვარაცხელია, ა. ჯანელიძე (გაგნიძე 61), გ. ლაცაბიძე, ლ. კობახიძე (ფაილოძე 75), ლ. მანწკავა, ებანოიძე

სათადარიგონი: კაკთელაძე, ბ. გოცირიძე, გ. ტყებუჩავა, ჩიხლაძე

მწვრთნელი: გოჩა ტყებუჩავა

გაფრთხილება: ალავიძე, კვარაცხელია, ახობაძე

მსაჯი: მ. ბეუქლიშვილი

100 მაყურებელი

ჩიხურა 2:0 კახეთი

1:0 ჭილლაძე (17), 2:0 ჩიკვაიძე (52)

ჩიხურა: მწყერაშვილი, მაჭარაშვილი, ბარაბაძე, ზივზივაძე, ვ. ზაბახიძე, დოლონაძე, ი. ზაბახიძე, ჭილლაძე (ცარციძე 89), ჩიკვაიძე, პეტრიაშვილი (გულიაშვილი 81), როგავა (გ. ენუქიძე 78)

სათადარიგონი: ბეგაშვილი, ხვედელიძე, დ. ენუქიძე, ივანიშვილი

მწვრთნელი: სოსო ფრუიძე

კახეთი: გ. ოთარაშვილი, ლომიძე, კუპრაშვილი (ლ. ტეტიაშვილი 73), ბიძინაშვილი, კეკლიშვილი, დ. ბურდული, ჩუთლაშვილი (აბდულაევი 65), ბედოიძე, ტარუღაშვილი, მურველაშვილი (ზარქუა 70), ძამუკაშვილი

სათადარიგონი: ქუფარაშვილი, მ. ხიდეშელი

მწვრთნელი: გიგლა იმნაძე

გაფრთხილება: ტარუღაშვილი, აბდულაევი

მსაჯი: კ. ჭაჭუა

300 მაყურებელი

დინამო 2 0:1 ვიტ ჯორჯია 2

0:1 მაისაშვილი (66)

დინამო 2: ლოსაბერიძე, ლ. ღონღაძე, მამრაში (კოპაძე 70), გეთიაშვილი (კაჭაჭიშვილი 35), ა. ტეტუნაშვილი, გ. ჩიკვაიძე (შერაზადაშვილი 60), ნემსაძე, მინდორაშვილი, ჯიშკარიანი, ჭადაშვილი, ი. სიხარულიძე

სათადარიგონი: მაკარიძე, კანდელაკი, ი. ხვადაგიანი, გ. ჯოხაძე

მწვრთნელი: დავით კეკლიშვილი

ვიტ ჯორჯია 2: ღურბელეიშვილი, პირველი, ადამაძე, კასრაძე, კაიშაური, ინჯგია, მაისაშვილი, გ. ჯანელიძე (ღანიაშვილი 87), კვაღინიძე, ჯიქიძე (ვასაძე 65), ბერიაშვილი (როსტიაშვილი 85)

სათადარიგონი: ეზიეშვილი, ვეკუა, სორდია, ზაქრაძე

მწვრთნელი: მერაბ კოჭლაშვილი

გაფრთხილება: კაიშაური, როსტიაშვილი, ღანიაშვილი

მსაჯი: ა. კრიჭაშვილი

100 მაყურებელი

მეშაქრე	23	12	7	4	32:19	43
დინამო 2	23	12	6	5	33:19	42
გაგრა	23	12	6	5	46:34	42
ვიტ ჯორჯია 2	23	12	5	6	34:18	41
ჩიხურა	23	11	6	6	37:29	39
ოლიმპი 2	23	8	8	7	30:26	32
კახეთი	23	8	4	11	33:36	28
ამერი 2	23	8	2	13	33:36	26
ოლიმპიკი	23	5	4	14	29:45	19
ნ.დინ-მერანი 2	23	0	6	17	17:62	6

XXIV ტური

24 აპრილი, ხუთშაბათი

ნ.დინ-მერანი 2 – კახეთი

მეშაქრე – დინამო 2

გაგრა – ოლიმპიკი

26 აპრილი, შაბათი

ვიტ ჯორჯია 2 – ჩიხურა

ამერი 2 – ოლიმპი 2

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

ჩემპიონთა ლიგა 2007–2008
ნახევარფინალი. პირველი მატჩი. დღეს

ლივერპული — ჩელსი
სავარაუდო შემადგენლობები

ლივერპული: რეინა; კარაგერი, ჰიიპია, შკრტელი, ფ. აურელიო; ჯერარდი, ხაბი ალონსო, მასკერანო, ბაბელი; ფ. ტორესი, კუიტი
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
ჩელსი: ჩეხი; პ. ფერეირა, რ. კარვალიუ, ტერი, ე. კოული; მაკელელე, ლამპარდი, ბალაკი; კალუ, დროგბა, ჯ. კოული
მწვრთნელი: ავრაამ გრანტი
მსაჯი: კონრად პლაუცი (ავსტრია)

რაფაელ ბენიტესი და სტივენ ჯერარდი

„მარცხენა მხარზე ხელს დავარტყამ და თუ მოიხედავს, გამოჯანმრთელებულა და „ჩელსისთან“ ითამაშებს. „ფულემთანაც“ მინდოდა მოედანზე მისი შეყვანა, მაგრამ თავს მხოლოდ მარჯვნივ ატრიალებდა და ამის გამო მისთვის უჩვეულო, მარცხენა ფლანგზე უნდა დამეყენებინა“ — იხუმრა ბენიტესმა სტივენ ჯერარდზე, რომელმაც ვარჯიშზე ბურთს თავი იმდენ ხანს ურტყა, სანამ კისერი არ გაუშეშდა.

„ფულემთან“ ჯერარდის გარდა კუიტმა, ტორესმა, ბაბელმა და კარაგერმა არ ითამაშეს, მაგრამ „ლივერპულმა“ პენანტისა და კრაუჩის

ეგრე არ დარჩე, სტივენ!
ჯერარდს კისერი მოეგრიხა

გოლებით მოიგო. სტივენ ჯერარდი სადღეისოდ კისერს მოირჩენს და ალბათ ძირითად შემადგენლობაში იქნება.

„ჩელსიმ“ ხუთშაბათს სტუმრად „ევერტონს“ მიკაელ ესიენის გოლით სძლია, მაგრამ განელი ნახევარმცველი დისკვალიფიკაციის გამო დღეს გუნდს ვერ დაეხმარება.

სამაგიეროდ, მიხაელ ბალაკი და დიდიე დროგბა გამოჯანმრთელდნენ, ხოლო ფრენკ ლამპარდმა ავადმყოფ დედას რამდენიმე დღით მიხედა და დღეს „ლივერპულისთვისაც“ მოიცლის.

„ჩემთვის ფეხბურთი ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ოჯახი უპირველეს ყოვლისა“ — თქვა ავრაამ გრანტმა და შარშანდელი გაიხსენა: „თუ გახსოვთ, წინა სეზონში ორი მთავარი ფეხბურთელის ტრავმის გამო ჩემპიონები ვეღარ გავხდით. წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, ლამპარდიც, რომ დაშავებულიყო. ახლაც, „უიგანთან“ დროგბა და ლამპარდი გვაკლდა, „ევერტონთან“ კი ლამპარდი, დროგბა და ბალაკი. ამჯერად სამივე ჯანზეა და ეს ძალიან მახარებს“.

„ჩელსის“ მწვრთნელმა საქებარი სიტყვები მეტოქე სტივენ ჯერარდისთვისაც არ დაიშურა: „დიდებული პიროვნება და ფეხბურთელია. სამაგალითო ადამიანია და მე თუ მკითხავთ, ამ სეზონის პრემიერლიგის საუკეთესო მოთამაშეა, რადგან თითქმის ერთ გუნდს უდრის“.

„ლივერპულის“ და „ჩელსის“ ნახევარფინალური ისტორია 2005 წელს დაიწყო, როცა ერთიმეორეს ამ ეტაპზე გადაეყარნენ. მაშინ მაურინიუმ და ბენიტესმა პირველი მატჩის შემდეგ ერთმანეთს ხელი არ ჩამოართვეს, რადგან „ცივი ომი“ აქვთ გაჩაღებული.

პირველი, ლონდონური შეხვედრა უგოლოდ დასრულდა, საპასუხოში კი „ლივერპულმა“ ლუის გარსიას გოლით მოიგო.

2007-ში კვლავ ეს გუნდები დაეჯახნენ ნახევარფინალში და მაშინ ესპანელი და პორტუგალიელი მწვრთნელები უკვე შერიგებულნი იყვნენ.

პირველი მატჩი კვლავ „სტემფორდ ბრიჯზე“ გაიმართა და მასპინძლებმა ჯო კოულის გოლით იმარჯვეს, ხოლო „ენფილდზე“ ერთბურთიანი სხვაობა დანიელ აგერმა გაქვითა.

პენალტების სერიაში „ლივერპულის“ მეკარემ ხოსე რეინამ იყოჩაღა, რომელმაც არიენ რობენს და ჟერემის არ გაატანინა (ეს ბიჭები „ჩელსიში“ აღარ არიან) და „ლივერპულმა“ 4:1 მოიგო.

„იმ ორი წაგებული ნახევარფინალიდანაც დაგვრჩა რაღაც — გაიხსენა ლამპარდმა — გულგატეხილობის გრძნობა, რომელიც ასეთ მატჩებში დამარცხების შემდეგ გეუფლება, დიდხანს გაგყვება. ამაზე ცუდი გასახსენებელი არაფერია“.

ამჯერად როლები შეიცვალა: წინა ორ შემთხვევაში პირველი მატჩი „სტემფორდ ბრიჯზე“ იმართებოდა, რაც ბენიტესს დაცვაში გამოკეტვისა და კონტრშეტევებზე თამაშის საშუალებას აძლევდა, ახლა კი პირველი მასპინძელი „ენფილდ როუდი“ იქნება.

ზოგიერთ ჩელსელს უხარია, პირველი შეხვედრა სტუმრად რომ ელით, მაგრამ „ლივერპულმა“ რამდენიმე კვირის წინ „არსენალთან“ საშინაო მატჩში აჩვენა, რისი გაკეთება ეხერხება „ენფილდზე“.

1965 წლის შემდეგ „ლივერპული“ ევროთასებზე ნახევარფინალიდან არასოდეს გავარდნილა.

გარდა იმისა, რომ „ლივერპულმა“ ბოლო სამ სეზონში „ჩელსი“ ჩემპიონთა ლიგაში ორჯერ დაჩაგრა, ინგლისის ასოციაციის თასის ნახევარფინალშიც ორჯერ ჰყავს დამარცხებული.

ვაჟა ხუციშვილი

ვინ ენატრება პრესას?
რაფა მასზე გაჭირვებულებზე ფიქრობს

„ლივერპულის“ თავკაცმა რაფა ბენიტესმა ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალური დაპირისპირების წინ „ჩელსის“ ფსიქოლოგიური შეტევა აგემა — „სტემფორდ ბრიჯზე“ მწვრთნელებს ფასი არ აქვთო.

დიახ, ესპანელმა სპეციალისტმა პირდაპირ კოლეგებზე მიიტანა იერიში. მან თქვა, რომ ყველა, ვინც ფიქრობს, რომ „ჩელსიში“ ავრაამ გრანტს რამე ეკითხება, თავს იტყუებს. მერე ბენიტესი უფრო შორსაც წავიდა და სამძინა, რომ ლონდონელთა გუნდში არც წინა მწვრთნელს, პორტუგალიელ ჟოზე მაურინიუს ეკითხებოდა ვინმე რამეს. „ლივერპულის“ თავკაცის რწმენით, იქ ყველაფრის გამგებელი კლუბის რუსი მეპატრონე რომან აბრამოვიჩია.

და საკუთრივ „ლივერპულში“ როგორ არის?

ამ კითხვაზე პასუხი მარტივია: „ლივერპულში“ თამაშთან დაკავშირებულ საკითხებს აშკარად ბენიტესი განაგებს, ხოლო კლუბში რეალურად არსებული სხვა ტიპის პრობლემები და დაპირისპირებანი ამისგან დამოუკიდებელი თემაა.

„ჩელსიში“ კი ყველაფრის უფროსი აბრამოვიჩია“ — განაცხადა რაფამ.

„ერთადერთი განსხვავება მაურინიუსა და ავრაამ გრანტს შორის, ჩემი აზრით, პრესკონფერენციებია — განავითარა შემდეგ აზრი ესპანელმა — „ჩელსისა“ და „ევერტონის“ თამაში ვიხილე და აშკარად დავინახე, რომ ისინი რასაც ადრე აკეთებდნენ, ისევ იმას იმეორებენ“.

ამ საკმაოდ თამამი და გამომწვეული განცხადების შემდეგ ბენიტესმა სიტყვების დასაბალანსებლად მეტოქისადმი პატივისცემის გამოხატვაც სცადა:

„ისინი „ქარლინგის თასის“ ფინალში იყვნენ, აგერ, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში არიან და პრემიერლიგის მოგების შანსიც ჯერ არ დაუკარგავთ, ასე რომ, ჩვენ მათ წინააღმდეგ თამაშის დროს სიფრთხილე გვმართებს და არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „ჩელსი“ პატივისცემას იმსახურებს“.

ხოლო პირადად გრანტზე საუბრისას ესპანელმა ასე მოუხვია:

„გრანტზე საუბარი არ მინდა. ის ჩემი კოლეგაა და საუბარში ყოველთვის კორექტულია, ამიტომ მიჯობს, არაფერი ვთქვა. ცუდი არაფერი მაქვს სათქმელი“.

მაგრამ ჟოზე? განა მათი სიტყვიერი დაპირისპირება „ლივერპულისა“ და „ჩელსის“ დაპირისპირებას დამატებით დაძაბულობას და შოუს ელემენტს არ მატებდა?

ასე განსაჯეთ დღესაც, სამი წლის შემდეგ, მაურინიუ ამბობს, რომ ჩემპიონთა ლიგის მაშინდელ ნახევარფინალში „ლივერპულს“ მისი „ჩელსი“ არ დაუმარცხებია, რადგან გადამწყვეტი გოლი, რომელიც ლუის გარსიამ გაიტანა, არ უნდა ჩათვლილიყო — ბურთს კარის ხაზი არ გადაუკვეთია.

მაურინიუზე საუბრისას ბენიტესმა გაიღიმა:

„პრესას ის ალბათ ენატრება, მე კი, აბა, რა მოსანატრებელი ვარ. მე „ლივერპულში“ უამრავი საქმე მაქვს გასაკეთებელი და ამით გახლავართ დაკავებული. და ბოლოს, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ფეხბურთელები გაცილებით მნიშვნელოვანნი არიან, ვიდრე მწვრთნელები და ყურადღება მათზე უნდა გამახვილდეს. მწვრთნელებს შეუძლიათ, თამაშის წინ ილაპარაკონ, თამაშის მსვლელობისას კი საქმეს ფეხბურთელები აკეთებენ. ჩვენ მნიშვნელოვანნი ვართ პრესკონფერენციებისას და, რასაკვირველია, ზოგოერთი თამაშის დროსაც, თუმცა ჩვენი მთავარი მოვალეობა ის გახლავთ, რომ აურზაური არ უნდა შევქმნათ. ფეხბურთელებს უბრალოდ თამაშის პირობა უნდა შევუქმნათ. აი, მაგალითად, ჩვენ გვყავს ისეთი თავდამსხმელი როგორიც ფერნანდო ტორესია, „ჩელსის“ კი, — თუ მზად არის — დიდიე დროგბა, თუ არა და, ანელკა, საკმაოდ კარგი ფეხბურთელი. რასაკვირველია, შეხვედრა შესაძლოა მოიგოს ჯერარდმა, ტორესმა, კუიტმა ან ბაბელმა, მაგრამ გუნდური მოქმედებაც არანაკლებ მნიშვნელოვანია“.

რომან აბრამოვიჩი

ბენიტესის „ლივერპულმა“ მაურინიუს „ჩელსი“ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალიდან ორჯერ გამოაგდო, მაგრამ ორივეჯერ დიდი ბრძოლა გადახდა. მერსისაიდელთა ესპანელი თავკაცი არც ამჯერად, არც ავრაამ გრანტის გუნდისგან ელის ნაკლებ წინააღმდეგობას. ინგლისური პრესა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ გრანტი დიდი წნეხის ქვეშაა. თუ რაიმე ტიტული არ მოიპოვა, აბრამოვიჩი ალბათ თანამდებობიდან მოხსნის, თუმცა ბენიტესი ამბობს, რომ მას თავისი წილი წნეხიც ყოფნის.

„ძნელია იმის გაზომვა და აწონვა, ვისი წნეხი უფრო დიდია — ბრძანა ამის პასუხად „ლივერპულის“ შეფმა — ჩვენ ამის შესახებ ადრეც ვილაპარაკეთ, ხალხს კი ეგონა, რომ ერთმანეთს სულელურ ფსიქოლოგიურ თამაშებს ვეთამაშებოდით. ჩემი საკუთარი პრესი მაქვს, ყოველი თამაში უნდა მოვიგო. „ჩელსისთან“ თამაშის წინ, რასაკვირველია, ზეწოლას ვგრძნობ, მაგრამ იმავდროულად ბედნიერი ვარ, რომ ნახევარფინალში გავედით. ალბათ, ლონდონელებიც ასევე ფიქრობენ. იცით, საერთოდ, როდესაც პრობლემების წინაშე ვდგავართ, ვიწყებთ ფიქრს იმ ხალხზე, ვინც ჩვენზე უარეს დღეშია. ასეთია ჩვენი მიდგომა. მე ყოველთვის ვცდილობ, ჩემი პროფესიისგან სიამოვნება მივიღო. „ჩელსის“ თუ დავამარცხებთ, ძალიან გავიხარებ, თუმცა ვერ გეტყვით, ახლა უფრო ბედნიერი ვიქნები თუ ადრე, როდესაც ლონდონელთა ბარიერი პირველად და მეორედ გავიარეთ“.

პაპუნა ძედია

განსაკუთრებული ამბავი

ჯოზე მაურინიუ

როგორც ინგლისური „სანი“ იუწყება, ჯოზე მაურინიუმ „ინტერის“ გაწვრთნაზე განაცხადა თანხმობა და „ჩელსიდან“ ფრენკ ლამპარდისა და დიდიე დროგბას გადაბირებაც განიზრახა. პორტუგალიელი მწვრთნელი ვარაუდობს, რომ ლონდონელთა წყვილში 35 მილიონ გირვანქას გადაიხდის, რაც 69,87 მილიონი დოლარის ან 44,38 მილიონი ევროს ტოლია.

ინგლისურმა გაზეთმა ერთ-ერთმა პირველმა შეიტყო, რომ „განსაკუთრებულმა“ და „ნერაძურის“ მეპატრონე მასიმო მორატიმ ამ შაბათ-კვირას დაკრეს ხელი ხელს, ასე რომ, ზაფხულიდან მილანის გუნდს რობერტო მანჩინი აღარ უთავკაცებს. როდესაც „სანმა“ ეს ამბავი ქვეყანას ამცნო, იტალიურ კლუბს ოფიციალური განცხადება ჯერ არ ჰქონდა გაკეთებული, მაგრამ „სანი“ სწორედ იმის „სანია“, რომ დახურულ კარებს მიღმა რა ხდება, ისიც იცის: მან შეიტყო, რომ მაურინიუმ მორატისთან გარიგების შემდეგ მეგობრები მოინახულა და მათ გასაგონად გადასაბირებელ ფეხბურთელებზე დაიწყო მსჯელობა.

როგორც ინგლისური გაზეთი ამბობს, ეს „ჩელსის“ ახლანდელი მწვრთნელისთვის, ავრაამ გრანტისთვის ძალიან ცუდი ამბავია, რადგან მოახლოებულ ზაფხულს მან შეიძლება ორი წამყვანი ფეხბურთელი და... თანამდებობაც დაკარგოს.

ფაქტია, რომ 29 წლის ნახევარმცველი ლამპარდი სამწლიანი თანამშრომლობის შემდეგ მაურინიუსთან მეგობრობს. გასული წლის სექტემბერში „ჩელსიდან“ წასვლის დღეებში მწვრთნელმა მას უწოდა ყველაზე დიდი პროფესიონალი, რომელიც ოდესმე უნახავს. გარდა ამისა, მთელი მსოფლიოსთვის არის ცნობილი, რომ ლამპარდი გრანტთან ცუდ ურთიერთობაშია და თებერვალში, „ქარლინგის თასის“ ფინალამდე ხალხის თვალწინ კარგად შეკამათდნენ კიდეც. გარდა ამისა, გვინდა შეგახსენოთ, რომ ლამპარდისა და „ჩელსის“ საკონტრაქტო მოლაპარაკებები საკმაოდ რთულად მიმდინარეობს. ფეხბურთელს არასდროს დაუმალავს, რომ სათამაშოდ სახღვარგარეთ უნდა წასვლა.

ერთი სიტყვით, იოლი მისახმვედრია, რომ ჯოზე მაურინიუ და ფრენკ ლამპარდი თანამშრომლობის აღდგენას შეეცდებიან, მითუფრო, თუ ამის საშუალებას ევროპის ერთ-ერთი უდიდესი კლუბი, მილანის „ინტერნაციონალე“ მისცემთ.

და რა პრობლემის წინაშე შეიძლება აღმოჩნდნენ მწვრთნელი და ფეხბურთელი? ამწუთას ლამპარდისთვის ყველაზე დიდი პრობლემა დედამისის ჯანმრთელობაა. მოგეხსენებათ, ლამპარდის დედა ერთი კვირის წინ პნევმონიის შეტევით საავადმყოფოში მოხვდა და ჯერაც ცუდად არის. ბუნებრივია, სანამ დედის მდგომარეობა არ გამოსწორდება, ინგლისელი ვარსკვლავი ფეხბურთზე ვერც იფიქრებს.

რაც შეეხება დროგბას, ის „ჩელსიში“ სწორედ ჯოზე მაურინიუმ მიიყვანა. „განსაკუთრებულის“ მოთხოვნით, ლონდონელებმა კოტდივუარელში კლუბის ისტორიაში ყველაზე დიდი თანხა, 24 მილიონი გირვანქა გადაიხადეს. ეს ამბავი 2004 წელს მოხდა, სამი წლის შემდეგ კი, როდესაც მაურინიუ „ჩელსიდან“ გაუშვეს, დროგბამ მწვრთნელის წასვლა საჯაროდ ჯერ მამის დაკარგვას შეადარა, ერთი ხნის მერე კი განაცხადა, სეზონის ბოლოს სხვა გუნდში წავალო.

ცნობისათვის: ავრაამ გრანტს ინგლისში ბევრი საყვედურობს, რომ დროგბასგან მისი ნიჭის ადექვატური სარგებელი ვერ მიიღო. სტატისტიკა მეტყველებს, რომ 30 წლის კოტდივუარელმა ფორვარდმა შობის შემდეგ ოთხად ოთხი გოლი გაუტანა მოწინააღმდეგეებს.

„ინტერი“ მაურინიუსთან მას მერე მართავდა მოლაპარაკებებს, რაც თებერვალში, ჩემპიონთა ლიგაში „ლივერპულთან“ შეხვედრის წინ რობერტო მანჩინიმ თანამდებობიდან გადაგომის სურვილი გამოთქვა. ოფიციალურად, მანჩინისა და „ინტერის“ ხალშეკრულება კიდევ ოთხი წლის განმავლობაში იქნება ძალაში.

პაპუნა კედია

ჯოვინკო — ახალი ძოლა

სებასტიან ჯოვინკო

„ემპოლის“ მცველი ვიტორიო ტოსტო მიიჩნევს, რომ მის თანაგუნდელ სებასტიან ჯოვინკოს ყველა წინაპირობა აქვს იმისა, რომ ლეგენდარულ ჯანფრანკო ძოლაზე არანაკლებ წარმატებული კარიერა ჰქონდეს. „იუვენტუსიდან“ „ემპოლიში“ განათხოვრებულ 20 წლის ჯოვინკოს და ძოლას წმინდა საფეხბურთო მსგავსებების გარდა აღნაგობაც ერთნაირი აქვთ — ჯოვინკო 164 სმ. სიმაღლისაა, ხოლო ძოლა 2 სანტიმეტრით მაღალია. როგორც თავის დროზე ძოლა, ჯოვინკოც ახერხებს თავისი არაათლეტური გაბარიტების არაჩვეულებრივი ნიჭით ანაზღაურებას.

„ჯოვინკო ახალი ძოლაა. არ ვაჭარბებ და იმასაც ვიტყვი, რომ სულ მალე სებასტიანი იტალიის ნაკრების ერთ-ერთ ლიდერად იქცევა“ — დასძინა ტოსტომ.

უკრაინიდან თურქეთში ხორვატიის გავლით

თურქული „ტრაბზონსფორი“ მომავალი სეზონისთვის შემადგენლობის გაძლიერებაზე უკვე დღეს ფიქრობს. შავიზღვისპირელთა სავარაუდო შენაძენთა სიაში პირველ ადგილზე კიევის „დინამოს“ საკუთრებაში მყოფი და ხორვატიულ „ჰაიდუკში“ ივკარის წესით მოასპარეზე ფლორინ ჩერნატია. რუმინეთის ნაკრების ნახევარმცველი თურქეთში გადაბარგებაზე უარს არ ამბობს და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ეს ტრანსფერი შედგება კიდეც.

ვიდიჩი: მზად ვიქნები

„მანჩესტერ იუნაიტედის“ მცველმა ნემანია ვიდიჩმა აღნიშნა, რომ „რომასთან“ საჩემპიონთალიგო მატჩში დაშავებული მუხლი საბოლოოდ მოიშუშა.

„თავს საუკეთესოდ ვგრძნობ. „ბლექბერნთან“ შეხვედრის მსვლელობისას მუხლი ოდნავ მტკიოდა, მაგრამ ოთხშაბათს, „ბარსელონასთან“ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალის პირველ მატჩს სრულ მზადყოფნაში შევხვდები“ — აღნიშნა სერბმა უკანასკნელმა.

ჩელსი სულ სხვაა

„შესაძლოა, „ჩელსისთან“ ორრაუნდიანი დაპირისპირება არ აღმოჩნდეს ისეთი საინტერესო, როგორც „არსენალთან“ მეოთხედფინალური მატჩები“ — ასეთი რამ ივარაუდა „ლივერპულის“ ბომბარდირმა ფერნანდო ტორესმა მერსისაიდელთა და „არისტოკრატთა“ ნახევარფინალურ საჩემპიონთალიგო წყვილზე — საქმე ის არის, რომ ჩვენც და „ჩელსიც“ კონტინენტური და არა ბრიტანული ფეხბურთის მქადაგებლები ვართ, ანუ ისეთი გახსნილი თამაში, როგორიც „არსენალთან“ შეხვედრებში გვქონდა, გრანტის გუნდთან მოხალოდნელი არ უნდა იყოს. მეტოქის თამაში დეტალურად უნდა შევისწავლოთ, რათა შესაბამისი ტაქტიკა დავუპირისპიროთ“.

40 მილიონი შავ კატებს

„სანდერლენდის“ დამრიგებელი როი კინი გუნდისთვის პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნებას ცდილობს და ამის პარალელურად მომავალი სეზონისთვის შემადგენლობის გაძლიერებაზეც ზრუნავს. სახელგანთქმული ირლანდიელი კლუბის სატრანსფერო პრიორიტეტებთან დაკავშირებით უკვე ჩამოყალიბდა და მისი იდეების განსახორციელებლად „შავი კატების“ მეპატრონეებს 40 მილიონი გირვანქის გაღება მოუწევთ. კინის მთავარი სამიზნე „ვესტ ჰემის“ ახალგაზრდა ფორვარდი დინ ეშტონია, ვისი ფასიც 8 მილიონს შეადგენს, ეშტონის გარდა კი ირლანდიელი მწვრთნელი თანამემამულე გარემარ დემიენ დაფზეც ოცნებობს, ვისაც „ნიუკასლი“ 4 მილიონად აფასებს.

გმირი არბიტრი

ინგლისური სამოყვარულო ლიგის ერთ-ერთი მატჩის არბიტრმა ფეხბურთელი სიკვდილისგან იხსნა. „ვირალისა“ და „დურჰემის“ შეხვედრის შესვენებაზე რეფერი ნაიჯელ პროსტმა შეიტყო, რომ ერთ-ერთ მოთამაშეს გასახდელში გული წასვლია. პროსტი არ დაბნეულა და ახალგაზრდას პირველადი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინა. მთელი 15 წუთის განმავლობაში საფეხბურთო არბიტრი ადამიანის სიცოცხლისთვის იბრძოდა და მედიკოსების თქმით, პროსტის თავგანწირვა რომ არა, სასწრაფო დახმარების ბრიგადა ფეხბურთელს ველარაფრით უშველიდა.

ნაიკთან ავიდეთ, ძმაო!

მილანის „ინტერს“ რონალდინიოს ტრანსფერის თაობაზე „ბარსელონასა“ და „მილანს“ შორის მოლაპარაკებათა ჩაშლას კომპანია „ნაიკის“ მეშვეობით განუზრახავს. მასიმო მორატის თქმით, კატალონიელებმა მისი შეთავაზება ერთ ყურში შეუშვეს და მეორედან გამოუშვეს, მაშინ, როცა „როსონერის“ წინადადებით დაინტერესდნენ. რაც შეეხება „ნაიკს“, ეს გიგანტი კომპანია „ინტერსაც“ ასპონსორებს და „ბარსასაც“ და მორატის ჩანაფიქრით, სწორედ „ნაიკს“ შესწევს ძალა, კატალონიური გრანდის მესვეურებს პოზიცია შეაცვლევინოს.

მარსელური კონტრაქტები

„მარსელმა“ კონტრაქტი ორ საკვანძო მოთამაშეს გაუხანგრძლივა. 23 წლის ნახევარმცველი მატიე ვალბუენა ხმელთაშუაზღვისპირეთში 2013 წლამდე დარჩება, ხოლო ნიგერიელ მცველ ტაე ტაივოს ახალი კონტრაქტი 2011 წელს ამოეწურება. ყოველივე იმას ნიშნავს, რომ „ვალენსიას“, „ჰამბურგს“, „ზენიტსა“ და „იუვენტუსს“ თავისი სატრანსფერო გეგმების განხორციელება სხვა ფეხბურთელების ყიდვის გზით მოუწევთ.

მისიმოვიჩი ინგლისში მიდის

„მიდლსბრო“ და „ევერტონი“ ბოსნიელი თავდამსხმელის, ზვეზდან მისიმოვიჩის გადაბირებას ცდილობენ. „ნიურნბერგის“ შემტევს გერმანულ კლუბთან კონტრაქტი მიმდინარე სეზონის დამთავრებისთანავე ეწურება, ანუ მისიმოვიჩი თავისუფალი აგენტის სტატუსს მიიღებს. აქვე მოგახსენებთ, რომ გერმანიის მიმდინარე პირველობაში 25 წლის ბოსნიელმა 23 მატჩი ჩაატარა და 10 გოლიც შეაგდო.

დააყრევინეთ მწვრთნელებს თავები

სერ ალეჯს ფერგიუსონი ხელშეუხებელია

საინტერესოა: ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გასული ოთხი გუნდიდან სამის მწვრთნელს საქმე მოხსნაზე აქვს და თუ თასს ვერ მოიპოვებენ, მოხსნიან კიდეც. ერთადერთი, ვისაც სამსახურის დაკარგვა არ ემუქრება „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავკაცი ალექს ფერგიუსონია. მისი გუნდი ხვალ ფრანკ რაიკარდის „ბარსელონას“ ეთამაშება და როგორც უნდა დამთავრდეს არათუ ეს, არამედ საპასუხო დაპირისპირებაც, მოიპოვებს თუ არა მანჩესტერის გუნდი 21 მაისს მოსკოვურ ფინალში თამაშის უფლებას, სერ ალექსი მშვიდად განაგრძობს თავის საქმეს. რაც შეეხება ხსენებულ რაიკარდსა და მეორე ნახევარფინალური წყვილის თავკაცებს, ლივერპულელ რაფა ბენიტესსა და „ჩელსის“ ავრაამ გრანტს, მათი საქმე საჭოჭმანოა.

არადა, რა უცნაურია, არა? რამდენიმე წლის წინ გუნდის ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინლაში გაყვანა დიდ საქმედ ითვლებოდა, ამის შემძლე მწვრთნელს კი მოხსნას ვინ გაუბედავდა, პირიქით, აქებდნენ და ადიდებდნენ.

ახლა? ახლა, მაგალითად, ფრანკ რაიკარდმა საკუთარ ტყავზე გამოსცადა, რომ პრეზიდენტები და ფანები მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვებას როდი სჯერდებიან, ამას მაინცდამაინც შეკვეთილ სტილში ითხოვენ. და კიდევ, რაკიღა საუბარი „ბარსელონათი“ დავიწყეთ — რაიკარდმა კატალონიელებს ლიგაში 2006 წელს გაამარჯვებინა, რაც ამ გუნდის ქომაგთა თანამედროვე საზომით ძალიან დიდი ხნის წინ იყო.

„კამპ ნოუზე“ გამართულ ბოლო ორ შეხვედრაში რაიკარდს და მის გუნდს საკუთარმა მაყურებელმა უსტვინა. სტატისტიკა კი ასეთია: ბოლო რვა ტურში „კატალონიის სიამაყემ“ მხოლოდ ერთი გამარჯვება მოიპოვა, რითაც მადრიდის „რეალს“ პრიმერადივიზიონის მყარი ლიდერობის საშუალება მისცა. გარდა ამისა, „ბარსა“ სამეფო თასის ნახევარფინალიდანაც გამოვარდა, ასე რომ, რაიკარდის თანამდებობის გადარჩენა მხოლოდ და მხოლოდ ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებას შეუძლია.

საინტერესოა, რომ თუკი ჰოლანდიელს „ბარსელონადან“ გაუშვებენ, მისი ადგილი შესაძლოა რაფა ბენიტესს ჩააბარონ... რასაკვირველია, თუკი მას „ლივერპული“ გაათავისუფლებს. დიახ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, „ლივერპულის“ მწვრთნელს თავად მოხსნაზე აქვს საქმე, არადა მისი ხელმძღვანელობით მერსისაიდელებმა ჩემპიონთა ლიგაში 2005 წელს გაიმარჯვეს, 2007-ში კი ისევ გავიდნენ ფინალში.

მოგეხსენებათ, „ლივერპულის“ მეპატრონეებს, ტომ ჰიკსსა და ჯორჯ ჯილეტს შორის დაპირისპირებაა. ჯილეტს ბენიტესის თავიდან მოშორება სურს, ჰიკსი კი ესპანელს უჭერს მხარს და აი, ასეთ გაუგებრობაში ემზადებოდა გუნდი „ჩელსისთან“ ოთხ წელიწადში მესამე ნახევარფინალური ბრძოლისთვის.

აქვე დავძენთ, რომ „ლივერპულს“ საკუთრივ ინგლისის ჩემპიონის ტიტული 1990 წლის მერე არ მოუგია, ოღონდ, რაგინდ გასაკვირი უნდა იყოს, ენფილდროუდელ ფანებს ბენიტესი მაინც უყვართ.

განსხვავებული ვითარებაა „ჩელსიში“, სადაც კლუბის მეპატრონე რომან აბრამოვიჩი ერთპიროვნულად წყვეტს, ვინ გაუშვას და ვინ დატოვოს. მოგეხსენებათ, გასულ სექტემბერს ჩუკოტკის გუბერნატორმა „ლურჯების“ თავკაცობა ჟოზე მაურინიუს ჩამოართვა და მის ადგილას თავისი მეგობარი, ავრაამ გრანტი დანიშნა, მაგრამ...

დახეთ, რა უცნაურადაა საქმე: გრანტის ხელმძღვანელობით „ჩელსიმ“ 48 შეხვედრიდან მხოლოდ ხუთი წააგო, პრემიერლიგაში ლიდერს, „მანჩესტერ იუნაიტედს“ მხოლოდ სამი ქულით ჩამორჩება და თან მომდევნო ტურში მასპინძლობს, მაგრამ ამ ყოველივეს მიუხედავად, „სტემფორდ ბრიჯის“ ტრიბუნებიდან გრანტს ხშირად უწევს ფანების „ბუუუს“ მოსმენა. მიზეზი: ფანებს, ბატონო ჩემო, გრანტის ტაქტიკა არ მოსწონთ, სტილი არ აკმაყოფილებთ. არადა, ნახევარფინალში „ლივერპულის“ დამარცხება „ჩელსის“ 103 წლიან ისტორიას შემატებს იმას, რაც არასოდეს ყოფილა — ჩემპიონთა ლიგის ფინალს.

პაპუნა კედია

საბერძნეთის ჩემპიონი შვეიცარიაში იპოვეს

მსოფლიოს ჩემპიონ რივალდოს ათენის აეკ-იდან წასვლა მოუწევს, რადგან სასამართლომ მისი გუნდი ჩემპიონად არ ცნო.

ჩემპიონატი 20 აპრილს პირეოსის „ოლიმპიაკოსის“ გამარჯვებით დასრულდა, რომელმაც აეკ-ს ორი ქულით გაუსწრო, მაგრამ შესაძლო იყო, ტიტული ჩამოერთვათ.

ბერძნული „ოქროს“ საქმე ლოზანაში, სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოში გაირჩა, რომლის კარზეც ბოლო ადგილზე გასულმა „კალამარიამ“ მიაკაკუნა.

„თუ პროცესი ჩვენს სასარგებლოდ არ დასრულდება, კლუბის პრეზიდენტ დემის ნიკოლაიდისს კონტრაქტის ნაადრევად გაწყვეტას მოვთხოვ და კარიერას ბრაზილიაში გავაგრძელებ“ — თქვა ათენური გუნდის

რივალდო

ლეგიონერმა „ტრიპოლისთან“ 2:0 მოგების შემდეგ.

3 თებერვალს „კალამარიამ“ შინ „ოლიმპიაკოსი“ 1:0 დაამარცხა, მაგრამ პირეოსელებმა მეტოქეს შემადგენლობაში საშარო ამბავი უპოვეს. მასპინძელთა მწვრთნელმა მოედანზე გაიყვანა ფეხბურთელი (ავსტრიელი რომან ვალნერი), რომელსაც თამაშის უფლება არ ჰქონდა.

შედეგად, „ოლიმპიაკოსმა“ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციაში იჩივლა და უკვე მარტში, „კალამარიას“ 0:3 წაგება ჩაეთვალა, რამაც პირეოსულ კლუბს სამი ქულა შემატა. „ოლიმპიაკოსმა“ აეკ-ს ამით გადაასწრო.

საარბიტრაჟო სასამართლომ საქმე გუშინ განიხილა და „კალამარიას“ სარჩელში, რომელიც ქულების დაბრუნებას ითხოვდა, საფუძვლიანი არგუმენტები ვერ იპოვა ფედერაციის გადაწყვეტილების გასაუქმებლად

საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ვასილის გაგაცისი შიშობდა, რომ ეს სასამართლო პროცესი ხელს შეუშლიდა პლეი ოფებს, რომლებმაც ევროთასებზე გამსვლელთა ვინაობა უნდა გაარკვიოს და ევროჩემპიონატისთვის ნაკრების მომზადებასაც ავნებდა.

„მეოთხედ ვხდები საბერძნეთის ჩემპიონი და მაინცდამაინც წლევანდელ ტიტულს მართმევენ, რომელიც ყველაზე ძვირფასია — დაიჩივლა 36 წლის რივალდომ — გუნდმა ჯილდო ფედერაციაში კი არა, მოედანზე უნდა მოიგოს“.

შეგახსენებთ, რომ რივალდო აეკ-ში „ოლიმპიკოსიდან“ გადავიდა, რომელშიც სამ სეზონში სამჯერ გახდა საბერძნეთის ჩემპიონი.

ვაჟა ხუციშვილი

ფრანჩესკო ტოტი საოპერაციო მაგიდაზე

ტოტის ბედმა უმუხთლა

შაბათს „რომა“ „ლივორნოსთან“ დიდ უპირატესობას ფლობდა, მაგრამ მაინც ვერ მოიგო და სკუდეტოს მოგების შანსი ფაქტობრივად დაკარგა. თუმცა იღბალმა ესეც არ აკმარა და გუნდის სიმბოლო ფრანჩესკო ტოტიც წაართვა. 31 წლის ფეხბურთელმა მუხლის სერიოზული ტრავმა მიიღო და უკვე ოპერაციაც გაიკეთა.

ტრადიციულად, ასეთი ტრავმების მერე ფეხბურთელებს 4-6 თვე უწევთ უქმობა, თუმცა ექიმებს იმედი აქვთ, რომ „რომას“ კაპიტანი უფრო მალე შეძლებს მწყობრში ჩადგომას, მაგრამ კონკრეტულად ჯერ ვერაფერს ამბობენ.

ფრანჩესკო ტოტი: „თავიდან ძალიან შეშეშინდა. ვიგრძენი, რომ რაღაც ცუდი მოხდა და სხვაზე ვერაფერზე ვფიქრობდი. ახლა ცოტა დავმშვიდდი, ექიმებთან ერთად ვითარება შევაფასე და ყველაფრისთვის მზად ვარ. ცხადია, კარგ ხასიათზე ვერ ვიქნები, მაგრამ ოპტიმისტური განწყობა მაინც შევინარჩუნე. მინდორზე უფრო ძლიერი დავბრუნდები“.

„ტოტის შესანიშნავი, ნამდვილი მებრძოლის მუხლი აქვს — ღიმილით ამბობს პროფესორი პიერპაოლო გარიანი, რომელმაც „პუპონეს“ ოპერაცია გაუკეთა — ფრანჩესკომ ერთხელ უკვე მოიშუშა საოცრად მალე ურთულესი ტრავმა და ახლაც თითქმის ყველაფერი მასზეა დამოკიდებული. ტოტიმ და ექიმების ჯგუფმა კარგად უნდა იმუშაონ“.

„ფაქტია, რომ სერიოზული ტრავმების რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. არ შეიძლება, კვირაში სამ მატჩს თამაშობდე, ეს ფეხბურთელებს რისკის წინაშე აყენებს. სიმართლე ის არის, რომ ძალიან ბევრს ვთამაშობთ და ცოტას ვვარჯიშობთ. ექიმებს უფრო პატივისცემით უნდა გვეპყრობოდნენ და ჩვენს ნათქვამს ითვალისწინებდნენ“ — აღნიშნა იტალიის ფეხბურთელთა ასოციაციის მრჩეველმა ექიმმა პიერო ვოლპიმ.

გიორგი ძაძაგაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელი ტური

დიამანტიმ „რომას“ 12-მატჩიანი სერია შეუწყვიტა

ძალიან საინტერესო, დაძაბული და უხეში იყო სერია A-ს 35-ე ტური. გამორჩეული ფეხბურთელების, გოლებისა და ამბების შესახებ channel 4.com-ის ტრადიციული ჩანახატიდან შეიტყობთ

გამარჯვებულები

ალესანდრო დიამანტი (ლივორნო) — როგორც ჩანს, სწორედ ამ ფეხბურთელმა გადაწყვიტა სკუდეტოს ბედი და არა „ტორინოს“ კარში გამარჯვების გოლის გამტანმა, „ინტერის“ ფორვარდმა ხულიო რიკარდო კრუსმა. დიამანტი ამ სეზონამდე სერია C-ში თამაშობდა. 83-ე წუთზე მისმა ზუსტმა საჯარიმო დარტყმამ „რომას“ „სტადიო ოლიმპიკოზე“ მოგებათა 12-მატჩიანი სერია შეაწყვეტინა, „ნერაძურის“ კი სხვაობის ექვს ქულამდე გაზრდის საშუალება მისცა.

ალესანდრო დელ პიერო (იუვენტუსი) — ბოლო პერიოდში ალექსი გამორჩეულთა შორის რომ არ დავასახელოთ, შეუძლებელია. მან „ატალანტას“ ჰეთ თრიქი მიართვა და საგოლე პასიც გააკეთა. დელ პიერო სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირ მარკო ბორიელოს 2 ბურთითღა ჩამორჩება. ასეთ ფორმაში მყოფი „პინტურიკიოს“ ევრო 2008-ის მიღმა დატოვება შეუძლებელი ხდება. ბერგამოელებთან მატჩი მას 9,5 ბალად შეუფასეს.

კაკა (მილანი) — როცა ეს ფეხბურთელი ჯანზეა, „როსონერი“ სულ სხვანაირად თამაშობს. ბრაზილიელმა ორი პენალტი გაიტანა, მესამე ბურთი უზუსტესი დაბალი დარტყმით შეაგდო და მთელი მატჩის განმავლობაში აწიოკა „რეჯინას“ დაცვა.

დამარცხებულები

ფრანჩესკო ტოტი (რომა) — არ გვინდა, მისი მდგომარეობა უფრო დავამძიმოთ, მაგრამ ეს ერთ-ერთი უცუდესი უქმეები გახლდათ „ერ პუპონეს“ კარიერაში. მისმა „ჯალოროსიმ“ ცხრილის ფსკერზე მყოფ კლუბს ვერ მოუგო, ხოლო თავად ტოტიმ მუხლის სერიოზული ტრავმა მიიღო და კარგახნით ჩამოშორდა ფეხბურთს.

მიკელე ფინი (კალიარი) — დიახ, ბრწყინვალე გოლი გაიტანე, მაგრამ... მისი აღნიშვნისას მაისურას ნუ გაიხდი, როცა ერთი ყვითელი ბარათი უკვე გაქვს! ბოდიში კატეგორიული ტონისთვის, მაგრამ ეს ასე უნდა თქმულიყო.

ნიკოლა აიროლდი — აქ შეგვეძლო, ანდრეა გასბარონი დაგვეწერა მისი საშინელი უხეშობისთვის, ასევე, ვალტერ გარგანო ან ჯულიო ფალკონე — უმსგავსობისთვის. თუმცა „პარმასა“ და „ემპოლის“ მატჩში მთელი დაძაბულობა და არეულობა სწორედ მსაჯ აიროლდის ბრალია. მან ორი აბსურდული პენალტი დანიშნა და მაკდონალდ მარიგა მინდვრიდან ტყუილად გააძევა. არბიტრმა თამაშზე კონტროლი სრულად დაკარგა.

გოლები

მარკო დონადელი (ფიორენტინა) — ასე ხშირად არ ხდება, მაგრამ, როცა გააქვს, თითქმის სულ ძალიან ლამაზი გოლის გამოსდის. ახლაც ასე იყო, დონადელმა დაახლოებით 20 მეტრიდან გაისროლა და ბურთი შორეულ მაღალ კუთხეში ჩააჭედა.

ალესანდრო დელ პიერო — მისი სამი გოლიდან საუკეთესო, ალბათ, მესამე გახლდათ, როცა ალექსმა დავიდ ტრეზეგესგან კარგი პასი მიიღო და კოპოლას აუღელვებლად დაურტყა. მეორე გოლიც უნდა გამოვარჩიოთ — კრისტიანო ძანეტის გრძელი, ბრწყინვალე პასი, „პინტურიკიო“ „ატალანტას“ დაცვას გაექცა და ზუსტადაც დაარტყა.

მიკელე ფინი — მისი თანაგუნდელის, რობერტო აკვაფრესკას გოლი არანაკლებ მნიშვნელოვანი და ეფექტური გახლდათ. თუმცა უფრო მაინც ფინის უძლიერესი და ლამაზი დარტყმა უნდა გამოვარჩიოთ. ფინიმ კინაღამ კარის ბადე გახია.

რიცხვები

წითელი ტური: გასულ უქმეებზე სერია A-ში 11 წითელი ბარათი აფრიალდა. მათ შორის არ იგულისხმება „ნაპოლის“ მწვრთნელ ედი რეხასა და „უდინეზეს“ თავკაც პასკუალე მარინოს გაძევებები. ამჟამად ყველაზე უდისციპლინო გუნდი „ლაციოა“ 11 წითელი ბარათით. რომაელებზე ორით ნაკლები „პარმას“ დაუგროვდა.

სამეგი სიამოვნება: ალესანდრო დელ პიეროსთვის ეს მეოთხე ჰეთ თრიქი გახლდათ სერია A-ში და პირველი — ტურინს მიღმა. მას იტალიის ჩემპიონატში 151 გოლი აქვს გატანილი. კაკას კი ჰეთ თრიქის წყალობით 14 გოლი მოუგროვდა, მან ამდენივე ბურთი შეაგდო 2005-06 წლების სეზონში და სერია A-ში ეს მისთვის ჯერჯერობით საუკეთესო შედეგია.

„რომას“ დაცემა: „გლადიატორებისა“ და „ლივორნოს“ ფრე რამდენიმე მიზეზის გამო იყო მოულოდნელი. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, აქამდე „ჯალაროსის“ სერია A-ში მიჯრით 12 საშინაო მატჩი მოეგო, ტოსკანელებს კი ზედიზედ ხუთ გასვლით შეხვედრაში გოლიც არ გაეტანათ. „ლივორნოს“ „რომასთან“ წინა 15 სტუმრობიდან 13 წააგო. ტოსკანელებმა 1933 წელს „ოლიმპიკოზე“ ფრეს მიაღწიეს, ხოლო 1947 წელს — მოიგეს.

გიორგი ძაძამიძე

კაკა ბრუნდება

როგორც იქნა, შთამბეჭდავად მოიგო „მილანმა“. კარლო ანჩელოტის შეგირდებმა „რეჯინა“ 5:1 გაანადგურეს და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის საგზურისთვის ბრძოლას აგრძელებენ. ისინი მეოთხე ადგილზე მყოფ „ფიორენტინას“ ისევ 4 ქულით ჩამორჩებიან.

„კარგად დავიწყეთ, შემართებით და შთამბეჭდავად, სწრაფი გოლიც გავიტანეთ, რამაც საქმე გაგვიადვილა. ფლორენციელებთან სხვაობა პატარა არ არის, მაგრამ ასე უნდა გავაგრძელოთ, ყველა დარჩენილი მატჩის მოგებას ვეცადოთ და იქნებ „იებმა“ ქულები დაკარგონ“ — თქვა ანჩელოტიმ.

რეჯაკალაბრიელებთან მატჩის გმირი კაკა გახლდათ, ვისაც ტრავმა აწუხებდა და ბოლო პერიოდში საუკეთესო ფორმაში არ იყო. ბრაზილიელმა ჰეთ თრიქი გაიფორმა.

„კაკას არყოფნა ნამდვილად სერიოზულ პრობლემებს გვიქმნიდა და მნიშვნელოვანწილად ამის გამოც აღმოვჩნდით ოთხეულისგან ასე შორს. კაკა ფორმაში დგება და შედეგიც სახეზეა. „რეჯინასთან“ მატჩში კლარენს ზეედორფმა საკუთარი თავი გუნდის ინტერესებს „შესწირა“ — მისთვის უჩვეულო პოზიციაზე თამაშობდა. ნამდვილ ჩემპიონებს ყოველთვის შეუძლიათ, პირადულზე წინ გუნდის ინტერესები დააყენონ“ — დასძინა ანჩელოტიმ.

ქოქი ქანდელაკი

მთავარია შედეგი

მილანის „ინტერი“ მორიგ სკუდეტოს კიდევ უფრო მიუახლოვდა. „ნერაძურის“ ტურინში „ტორინოსთან“ კარგად არ უთამაშია, მაგრამ მაინც მოიგო და „რომას“ 6 ქულით უსწრებს.

„ეს ძალიან მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია. ჩემპიონატის დასრულებამდე ოთხი ტურით ადრე საგრძნობი უპირატესობა გვაქვს. მართლაც ცუდად ვითამაშეთ, განსაკუთრებით, პირველ ტაიმში. თუმცა ბიჭებმა ბოლომდე იბრძოლეს და ცოტა გაგვიმართლა კიდეც, მაგრამ მთავარია, სამი ქულა მოვიპოვეთ. მომავალ ტურში „ტორინო“ „რომას“ სტუმრობს და თუ ასევე ითამაშა, დიდი შანსია, დედაქალაქელებთან არც წააგოს. იმედია, ასეც მოხდება“ — თქვა რობერტო მანჩინის თანაშემწემ სინიშა მიხაილოვიჩმა.

„ნერაძურის“ კაპიტანი ხავიერ ძანეტი: „სეზონის ბოლო ეტაპზე მთავარი ნამდვილად შედეგია. შესაძლოა, იდეალურად არ გვითამაშია, მაგრამ ძალიან საჭირო 3 ქულა მოვიპოვეთ, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია. რაც შეეხება მარიო ბალოტელის, იგი მართლაც ძალიან ნიჭიერია და ამავდროულად — ემოციური. მას ველაპარაკე და ავუხსენი, რომ ემოციების მოთოკვა უნდა ისწავლოს და პროვოკაციებს არ წამოეგოს. მარიო ჯერ მხოლოდ 17 წლისაა და ნელ-ნელა დაიხვეწება“.

„ტორინოს“ გასავარდნ ზონასთან ოთხი ქულა აშორებს, თან ტურინელებს არცთუ ადვილი მატჩები დარჩათ და ნერვიულობა მოუწევთ, თუმც მთავარი მწვრთნელის პოსტზე ახლახან დაბრუნებული ჯანი დე ბიაზი ოპტიმისტურადაა განწყობილი: „ყველას მადლობას ვუხდი კომპლიმენტებისთვის, მაგრამ ქებას გუნდი იმსახურებს და არა მე, რადგან ბიჭებმა ძალიან ძლიერ მეტოქესთან ბრწყინვალედ ითამაშეს. მართალია, წავაგეთ, მაგრამ სულ ოდნავ რომ გაგვმართლებოდა, შედეგი სხვანაირი იქნებოდა. სამდღენახევარია, რაც დავბრუნდი და ამ ხნის განმავლობაში ვეცადე, ფეხბურთელებისთვის თვითრწმენა შემემატებინა. ჩვენ ბევრი შეგვიძლია და „ტოროს“ მაისურის ტარება საამაყოა“.

ქოქი ქანდელაკი

იუვემ ატალანტა დაოთხა

ალესანდრო დელ პიერო

კვირას „იუვენტუსმა“ ძალიან იოლად მოუგო „ატალანტას“ და სერია A-ს დასრულებამდე 4 ტურით ადრე მესამეადგილოსანი ტურინელები უკვე ოთხეულში მოხვედრაზე კი არა, მათზე 5 ქულითა და ერთი საფეხურით წინ მყოფი „რომას“ დაწევაზე ფიქრობენ.

„ჩვენი მიზანია, ყოველთვის „იუვენტუსი“ ვიყოთ, ეს კი ნიშნავს, რომ მუდამ დამატებით ვართ მოტივირებულნი, გვაქვს განსაკუთრებული მებრძოლი სულისკვეთება და, როგორც ნამდვილ ჩემპიონებს შეეფერებათ, მიღწეულით არასდროს ვკმაყოფილდებით. გვსურს, პირველი ნომერი ვიყოთ და თამაშის გაუმჯობესებაზე მუდამ ვფიქრობთ. ბიჭებს ქების მეტი არაფერი ეკუთვნით“ — განაცხადა „იუვეს“ მწვრთნელმა კლაუდიო რანიერიმ.

ბერგამოელებს 4 უპასუხო გოლიდან 3 „ბებერი ქალბატონის“ ვეტერანმა კაპიტანმა ალესანდრო დელ პიერომ გაუტანა და ერთიც ნიკოლა ლეგროტალიეს გაატანინა. „პინტურიკიო“ ბრწყინვალე ფორმაშია, მიმდინარე სეზონის 37 მატჩში 20 გოლია მის ანგარიშზე, აქედან 17 — სერია A-ში და რობერტო დონადონისგან ევრო 2008-სთვის „სკუადრა აძურაში“ გამოძახებას ელის.

„არ ვიცოდი, რომ ჩემსა და ანტონიო კასანოს შორის ნაკრებში ადგილისთვის ბრძოლა მიმდინარეობს. მიხარია, რომ ისიც კარგ ფორმაშია, მაგრამ შეჯიბრზე კი არა, კარგად თამაშზე და „იუვენტუსზე“ ვარ კონცენტრირებული. საბოლოოდ ყველაფერს რობერტო დონადონი გადაწყვეტს. იგი აქამდე განაპირა, შემტევ ნახევარმცველად მათამაშებდა. ეს შემიძლია, მაგრამ არა ისე ეფექტურად, როგორც თავდამსხმელად თამაში. ასევე ვიტყვი, რომ ჩვენს შორის ცუდი ურთიერთობა არ არის“ — აღნიშნა დელ პიერომ.

კლაუდიო რანიერი: „დარწმუნებული ვარ, რომ დონადონი ალექსს გამოიძახებს, თუმცა ეს მხოლოდ ჩემი მოსაზრებაა. დელ პიეროს შესაძლებლობებში ეჭვი არავის ეპარება და თუ შევხედავთ, როგორ თამაშობს დელ პიერო, წესით, საორჭოფო ბევრი არაფერი უნდა იყოს“.

გიორგი ძაძამიძე

სარბიელი და კროკი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პრემიერლიგა						
		26 აპრილი						
18:00	6	ვესტ ჰემი-ნიუკასლი	2.45	3.20	2.80	1.38	1.30	1.49
18:00	7	უიგანი-რედინგი	2.05	3.20	3.50	1.24	1.29	1.67
18:00	8	ბირმინგემი-ლივერპული	3.10	3.20	2.15	1.57	1.26	1.28
15:45	10	ჩელსი-მანჩესტერი	2.35	3.20	2.90	1.35	1.29	1.52
18:00	14	სიტი-ფულემი	1.90	3.30	4.00	1.20	1.28	1.80
18:00	16	სანდერლენდი-მიდლსბრო	2.15	3.20	3.20	1.28	1.28	1.60
18:00	17	ტოტენჰემი-ბოლტონი	1.85	3.30	4.20	1.18	1.28	1.84
		27 აპრილი						
19:00	13	ევერტონი-ასტონ ვილა	2.15	3.20	3.30	1.28	1.30	1.62
16:30	15	პორტსმუთი-ბლექბერნი	2.25	3.20	3.10	1.32	1.30	1.57
		28 აპრილი						
23:00	11	დერბი-არსენალი	11.00	5.00	1.25	3.43	1.12	1.00
		ინგლისი. ჩემპიონატი						
		22 აპრილი						
22:45	84	ვულვერჰემპტონი-კარდიფი	1.75	3.40	4.50	1.15	1.25	1.93
		26 აპრილი						
18:00	18	პლიმუთი-ბლეკპული	2.00	3.30	3.20	1.24	1.23	1.62
18:00	19	პრესტონი-იფსვიჩი	3.00	3.20	2.15	1.54	1.25	1.28
18:00	20	შეფილდი-ბრისტოლი	2.25	3.20	2.80	1.32	1.24	1.49
18:00	21	უოტფორდი-სკანთორპი	1.35	4.20	8.00	1.02	1.15	2.75
18:00	22	ბარნსლი-ჩარლტონი	1.80	3.30	4.00	1.16	1.24	1.80
18:00	24	ბარნლი-კარდიფი	2.15	3.30	3.00	1.30	1.25	1.57
18:00	25	კოლჩესტერი-სტოკი	5.00	3.50	1.60	2.05	1.21	1.09
18:00	26	ქოვენთრი-ვულვერჰემპტონი	2.25	3.20	2.80	1.32	1.24	1.49
18:00	27	ჰალი-კრისტალ პალასი	2.30	3.20	2.80	1.33	1.26	1.49
18:00	28	ლესტერი-უენსდი	2.05	3.20	3.20	1.24	1.24	1.60
18:00	29	ნორვიჩი-ქპრ	2.10	3.20	3.10	1.26	1.25	1.57
		28 აპრილი						
22:45	23	ვესტ ბრომვიჩი-საუთჰემპტონი	1.55	3.60	5.50	1.08	1.20	2.17
		ინგლისი. I ლიგა						
		22 აპრილი						
22:45	85	როვერსი-სუინდონი	2.20	3.20	3.10	1.30	1.28	1.57
		ინგლისი. II ლიგა						
		22 აპრილი						
22:45	86	ჰერეფორდი-რექსემი	1.50	3.60	7.00	1.05	1.23	2.37
		ინგლისი. კონფერენსი						
		22 აპრილი						
22:45	54	ალდერშოტი-ვეიმუთი	1.65	3.50	5.20	1.12	1.25	2.09
22:45	55	გრეისი-სალისბერი	2.05	3.30	3.20	1.26	1.24	1.62
22:45	56	ქროული-ჰალიფაქსი	2.30	3.30	2.75	1.35	1.25	1.50
22:45	57	დროილსდენი-უოკინგი	2.80	3.30	2.25	1.51	1.24	1.33
22:45	58	იორკი-ფარსლი	2.20	3.30	3.00	1.32	1.26	1.57
22:45	59	ექსეტერი-სტეფორდი	1.20	6.00	11.00	1.00	1.08	3.88
22:45	60	ოქსფორდი-რაშდენი	1.80	3.30	4.20	1.16	1.25	1.84
22:45	61	კემბრიჯი-ტორკი	2.10	3.20	3.30	1.26	1.28	1.62
22:45	62	კიდერმინსტერი-ბარტონი	2.85	3.30	2.20	1.52	1.24	1.32
22:45	63	ფორესტ გრინი-ებსფლითი	2.10	3.30	3.20	1.28	1.26	1.62
22:45	64	სტივენეიჯი-ნორთვიჩი	1.65	3.60	5.00	1.13	1.24	2.09
		ესპანეთი. I დივიზიონი						
		26 აპრილი						
22:00	278	დეპორტივო-ბარსელონა	3.10	3.05	2.20	1.53	1.28	1.27

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	283	მურსია-სევილია	4.40	3.10	1.80	1.81	1.27	1.13
		27 აპრილი						
19:00	272	ვალიადოლიდი-ალმერია	2.05	3.20	3.30	1.24	1.26	1.62
21:00	273	ბეტისი-ვილიარეალი	2.60	3.10	2.50	1.41	1.27	1.38
19:00	274	ხეტაფე-ატლეტიკო	2.60	3.05	2.55	1.40	1.28	1.38
19:00	275	უელვა-ლევანტე	1.55	3.50	5.70	1.07	1.21	2.16
19:00	277	ესპანიოლი-სარაგოსა	2.25	3.05	3.00	1.29	1.28	1.51
19:00	279	ვალენსია-ოსასუნა	1.90	3.10	3.90	1.17	1.27	1.72
23:00	280	რეალი-ბილბაო	1.35	4.10	8.40	1.01	1.16	2.75
19:00	282	მალიორკა-რასინგი	2.25	3.05	3.00	1.29	1.28	1.51
		საფრანგეთი. II დივიზიონი						
		22 აპრილი						
22:00	92	დიჟონი-ტრუა	2.65	2.80	2.65	1.36	1.32	1.36
22:00	93	ბასტია-ამიენი	1.95	2.90	4.00	1.16	1.31	1.68
22:30	94	ლე ავრი-სედანი	1.65	3.20	5.00	1.08	1.24	1.95
		დანია. სუპერლიგა						
		23 აპრილი						
22:00	409	მიდტიულანდი-ჰორსენსი	1.55	3.60	5.20	1.08	1.19	2.12
20:00	411	ოდენსე-ვიბორგი	1.40	4.20	6.80	1.04	1.16	2.59
20:00	413	კოპენჰაგენი-ორჰუსი	1.25	4.70	10.00	1.00	1.11	3.19
20:00	414	ლიუნგბიუ-ბრიონდბიუ	5.70	3.60	1.50	2.20	1.18	1.05
		შვედეთი. სუპერეტა						
		22 აპრილი						
21:00	459	სირიუსი-მიალბი	1.85	3.40	3.85	1.19	1.24	1.80
21:00	460	ვესბი-ფალკენბერგი	2.25	3.20	3.00	1.32	1.28	1.54
		ჩემპიონთა ლიგა						
		22 აპრილი						
22:45	1	ლივერპული-ჩელსი	2.35	3.00	3.25	1.31	1.36	1.55
		23 აპრილი						
22:45	2	ბარსელონა-მანჩესტერი	2.45	3.00	3.00	1.34	1.34	1.50
		უეფას თასი						
		24 აპრილი						
22:45	3	ბაიერნი-ზენიტი	1.40	4.00	8.00	1.03	1.19	2.66
22:45	5	რეინჯერსი-ფიორენტინა	2.60	3.10	2.75	1.41	1.33	1.45
		შერეული						
		25 აპრილი						
19:00	90	დნეპრი-ჩერნომორეცი(უკრ)	1.55	3.30	5.30	1.05	1.19	2.03
		26 აპრილი						
14:00	91	მეტალურგი ზ-არსენალი(უკრ)	2.35	3.00	2.80	1.31	1.27	1.44
		ჰოლანდია. თასი						
		27 აპრილი						
20:00	82	ფეიენოორდი-როდა	1.75	3.30	4.30	1.14	1.24	1.86
		ლიბერტადორესის თასი						
		22 აპრილი						
23:45	568	ბოკა ხუნიორსი-მარაკაიბო	1.10	6.50	15.00	1.00	1.02	4.53
23:45	569	კოლო კოლო-ატლასი	1.75	3.35	3.90	1.14	1.20	1.80
		23 აპრილი						
23:30	570	ფლამენგო-ბოლოგნესი	1.10	6.50	16.00	1.00	1.02	4.62
23:30	571	ნასიონალი-სიენსიანო	1.55	3.25	5.50	1.04	1.20	2.04
23:30	573	ლუქუენო-აუდასი	3.00	3.40	2.00	1.59	1.20	1.25
		ხელბურთი. კაცები გერმანიის ჩემპიონატი						
		23 აპრილი						
22:00	603	ვეტცლარი-გუმერსბახი	3.10	10.00	1.35	2.36	1.00	1.18

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10001	ლივერპული-ჩელსი	2.70	2.00	3.20	1.14	1.46	1.23
10002	ბარსელონა-მანჩესტერი	2.70	2.00	3.20	1.14	1.46	1.23
10003	ბაიერნი-ზენიტი	1.75	2.30	6.50	1.00	1.37	1.69
10005	რეინჯერსი-ფიორენტინა	3.00	2.00	2.95	1.20	1.48	1.19

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11001	ლივერპული-ჩელსი	3.50	10.00	20.00	4.40	4.40	5.30	20.00	10.00	4.40
11002	ბარსელონა-მანჩესტერი	3.50	10.00	20.00	4.40	4.40	5.30	20.00	10.00	4.40
11003	ბაიერნი-ზენიტი	1.85	12.00	25.00	3.50	4.60	10.00	20.00	10.00	10.00
11005	რეინჯერსი-ფიორენტინა	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

		ნაკ.	მეტ.
12001	ლივერპული-ჩელსი	1.50	2.30
12002	ბარსელონა-მანჩესტერი	1.60	2.20
12003	ბაიერნი-ზენიტი	1.90	1.70
12005	რეინჯერსი-ფიორენტინა	1.50	2.30

შემდეგ ეტაპზე გასვლა

18001	ლივერპული-ჩელსი	1.80	1.80
18002	ბარსელონა-მანჩესტერი	2.10	1.60
18003	ბაიერნი-ზენიტი	1.30	3.00
18005	რეინჯერსი-ფიორენტინა	2.20	1.55

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

14001	ლივერპული-ჩელსი	1.80	2.00
14002	ბარსელონა-მანჩესტერი	1.80	2.00
14003	ბაიერნი-ზენიტი	1.20	2.60
14005	რეინჯერსი-ფიორენტინა	1.90	1.90

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15001	ლივერპული-ჩელსი	3.00	2.80	2.00
15002	ბარსელონა-მანჩესტერი	3.00	2.80	2.00
15003	ბაიერნი-ზენიტი	3.00	2.80	2.00
15005	რეინჯერსი-ფიორენტინა	3.00	2.80	2.00

ფორის გარეშე (ძირ დრო)

16001	ლივერპული-ჩელსი	1.65	2.05
16002	ბარსელონა-მანჩესტერი	1.65	2.05
16003	ბაიერნი-ზენიტი	1.11	5.70
16005	რეინჯერსი-ფიორენტინა	1.82	1.82

გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

17001	ლივერპული-ჩელსი	1.85	1.95
17002	ბარსელონა-მანჩესტერი	1.85	1.95
17003	ბაიერნი-ზენიტი	1.85	1.95
17005	რეინჯერსი-ფიორენტინა	1.85	1.95

შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

ქართული ხელბურთი ევროპას დაუბრუნდა სიკვდილის ჯგუფში ილუზიის გარეშე

18 აპრილს ავსტრიის დედაქალაქ ვენაში ხელბურთელთა 2010 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის კენჭისყრა გაიმართა და საქართველოს ნაკრების ხუთი მეტოქე გაირკვა. A ჯგუფში ჩვენები ურთიერთობას პოლონეთის, შვედეთის, რუმინეთის, ჩერნოგორიის და თურქეთის ნაკრებებთან გაარკვევენ. აქედანვე ვთქვათ, რომ ხელბურთელებს კენჭისყრაში ძალიან არ გაუმართლათ. იოლ ჯგუფში მოხვედრა ისედაც ვერ მოხერხდებოდა, რადგან საერთაშორისო ფედერაციამ წილისყრის პრინციპი შეცვალა და ის ფეხბურთის ანალოგიური გახადა. ანუ ქვეყნები კალათებში რეიტინგის მიხედვით გადანაწილდნენ, საქართველო კი ბოლო კალათაში იყო მოლდოვას და ფარერების ნაკრებებთან ერთად. არ გაუმართლათო, ვთქვით და ბარემ განვმარტოთ — ბობოლათა კალათიდან წინასწარ სამი სავარაუდო მეტოქე ვიცოდით — პოლონეთი, რუსეთი, ანაც ირლანდია უნდა შეგვხვედროდა, თუმც ამათგან უცუდესი ვარიანტი, ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისტი პოლონეთი გვერგო. შვედეთის ნაკრების სიძლიერეც კარგად მოგეხსენებათ. რუმინეთთან თამაშის გამოცდილება გვაქვს და ვიცით, რომ მათ ბოლოს ორჯერ მოგვიგეს წინა შესარჩევში. ჩერნოგორია მე-4 კალათაში ყველაზე არასასურველი მეტოქე იყო. თურქეთს კი შარშან დეკემბერში ვსტუმრობდით და სამი ამხანაგური მატჩი საგრძნობი სხვაობით წავაგეთ. ოღონდ ისიც ვთქვათ, რომ მაშინ ნაკრებს ლეგიონერების გარეშე მოუწია თამაში...

ასეა თუ ისე, ახლა წუწუნის დრო არ არის. მთავარია, რომ გულშემატკივარს კიდევ ერთხელ მიეცემა დიდი გუნდების ნახვის საშუალება და ნაკრები ახალი მიზნებისთვის სხვა შემართებით იბრძოლებს. გუშინ ნაკრების თავკაც **იმედო ფხაკაძეს** *ვესაუბრეთ, მეტოქეები შევაფასებინეთ და სხვა ამბებიც გამოკითხეთ...*

— ყველაზე რთული ჯგუფი შეგვხვდა. სიკვდილის ჯგუფში მოვხვდით. იგივე მოლდოვა ჩვენს კალათაში არ იყო. ისეთი მეტოქეები ჰყავს, იქნებ გასასვლელადაც ითამაშოს. ხუთივე კალათიდან უცუდესი ვარიანტი გვერგო, არადა, იყო შედარებით სუსტი გუნდები — იტალია, ბელგია... მაგრამ ახლა რაღა აზრი აქვს?.. იმის ილუზია არ გვაქვს, რომ ჯგუფიდან გასვლას მოვახერხებთ, თუმც ეს იმას არ ნიშნავს, რომ იოლად ვინმეს რამე დავუთმოთ. მაქსიმალურად კარგი შედეგისთვის უნდა ვიბრძოლოთ და თან გამოცდილება შევიძინოთ, რაც სამომავლოდ წაგვადგება. ვიცი, გულშემატკივრისთვის ძნელია წაგებასთან შეგუება, ბევრს ის ნაკლებად ანაღვლებს, რომ მეტოქე ძლიერია. მათთვის მთავარი მოგებაა. ესეც მესმის, მაგრამ ისიც უნდა გავიაზროთ, როგორ ჯგუფში ვართ...

— ზოგადი წარმოდგენა გაქვთ ჯგუფზე მაგრამ უფრო დაწვრილებით ინფორმაციის მოპოვებას როგორ აპირებთ?

— მეტოქეთა თამაშების ვიდეოფირებს მოვიპოვებთ, ამის პრობლემა არ არის. მოწინააღმდეგეები კარგად უნდა შევისწავლოთ, რათა მათი პლუს-მინუსები ვიცოდეთ.

— თურქეთს შარშან დეკემბერში სამჯერ ეთამაშეთ, მათზე რა შეგიძლიათ, თქვათ?

— მათთან თამაშის გამოცდილება გვაქვს და შეიძლება ითქვას, რომ ისეთი ძლიერი ნაკრები არ ჰყავთ. ოღონდ ვთქვათ, რომ ამ ეტაპზე გვჯობიან. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, შინ დავამარცხოთ, სტუმრად კი ურთულესი თამაში გველის. საკუთარ კედლებში თურქები მართლა ძნელად დასამარცხებლები არიან.

— ხელბურთელებისთვის ერთ-ერთი პრობლემა შეუთამაშებლობაა. თუ იგეგმება ამხანაგური თამაშების გამართვა და საერთოდ, ნაკრები როგორ მოემზადება შემოდგომამდე?

— ივნისში მსოფლიოს სტუდენტურ ჩემპიონატზე გამომსვლელი ბიჭებიდან 80 პროცენტი ნაკრების ხალხი იქნება და ეს მათ გამოადგებათ. მანამდე კი მინსკში შეიძლება ერთობლივი შეკრება გვქონდეს. რაც მეტი ამხანაგური გამოვა, მით უკეთესი. ოქტომბერში ბიჭები როგორც ფიზიკურ-ტაქტიკურად, ასევე ფსიქოლოგიურად კარგად მომზადებულები უნდა გვყავდნენ. ახლა მთავარი ეს არის. ძალიან რთულ ჯგუფში მოვხვდით, მაგრამ ბოლომდე ვიბრძოლებთ.

ლექსო მაისურაძე

საქართველოს ჩემპიონატი სუპერლიგა. XXX ტური

21 აპრილი. რუსთავი

დინამო 106:79 მაკაბი

17:14 20:22 39:13 30:30

დინამო: სიგუა (3), გულისაბედაშვილი (10), ლაფანაშვილი (10), მაისურაძე (18), ათანელიშვილი (6); ახალკაცი (27), ნანიტაშვილი (6), კუჭავა (12), წერეთელი (4), ფაიქრიძე (11)

მაკაბი: აამედიანი (7), კორკოტაძე (6), პირველაშვილი, კოლუაშვილი (16 ქულა, 21 მოხსნა), ს. შერმადინი (17); ჯანგველაძე (20), გაგლოშვილი (5), იოსელიანი (17)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, ხათუნა გაბედავა

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

თსუ 79:75 ვითა

19:14 14:25 24:23 22:13

თსუ: არწივიძე (10), ხეცურიანი (9), ფანჩულიძე (8), კეიდია (16), ტყეშელაშვილი (2); ბარბაქაძე (19), კოხრეიძე, ყველაშვილი (12), ხიზანიშვილი (2), ბ. ნოზაძე (2)

ვითა: მარხვაშვილი (11), წივწივაძე (6), გვიმრაძე (13), ბეჟანიშვილი (16), ლ. ნოზაძე (8); ძიძიგური (8), ნ. ნოზაძე (3), მარკოიშვილი (10)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

ენერჯი-ინვესტი 98:79 ავიამშენი

33:19 25:15 20:22 20:23

ენერჯი: გამყრელიძე (10), ლეჟავა (17), დიდია (10), ბაბაიშვილი (8), სტეფანოვი (19); ჩიტაშვილი (9), ცეკვავა (6), მაჭავარიანი (5), დვალიშვილი (6), ჭოჭუა (7), ტუჯანი (1)

ავიამშენი: კვიმსაძე (13), ბერაია (11), მინაშვილი (23), ნინიაშვილი (10), მათიაშვილი (19); იმნაძე (3), სუხიშვილი, მოსეშვილი

მსაჯები: მაკა კუპატაძე, დავით ბერეკაშვილი, ზაზა მაჩალაძე

ესეც ასე, სუპერლიგის ექვსწრიანი რეგულარული სეზონი დასრულდა და ეგრედ წოდებული „მცირე ჩემპიონობა" რუსთავულმა „ენერჯი-ინვესტმა" ირგუნა. თუმცა ეს რომ ასე იქნებოდა, კარგა ხნით ადრე იყო ცნობილი და რუსთავულ წრის ინტრიგა ნახევარფინალისტების დაწყვილება გახლდათ.

ბოლო ტურამდე არ იყო გარკვეული, პირველოსან „ენერჯის" პლეი ოფის პირველ წრეში ვინ შეხვდებოდა. შესაბამისაც, მეორე წყვილიც გასარკვევი იყო და ყველაფერს ნათელი გუშინდელმა ტურმა, უფრო სწორედ კი თსუ — „ვითას" შერკინებამ მოჰფინა.

ვითარება ცოტა ჩახლართული იყო, რაკი სამ გუნდს — „ავიამშენს", თსუ-ს და „ვითას" თანაბარი ქულები მოეგროვებინათ და მეორე-მეოთხე ადგილებს იყოფდნენ. შანსი არ იყო, საბოლოოდ 2 გუნდს ერთნაირი ქულები არ შერჩენოდათ და ასეთ შეთხვევაში ყველაფერი ურთიერთშეხვედრებს უნდა გადაეწყვიტა.

„ვითას" „ავიამშენთან" უარყოფითი ბალანსი ჰქონდა და თსუ-სთან რომ წაეგო, მეოთხეზე გავიდოდა. ვითელთა მოგების შემთხვევაში კი უკვე „ავიატორებს" ჰქონდათ ჭაკად საქმე, რადგან თსუ-სთან პირად დუელს აგებდნენ და ბოლო მატჩში მასპინძელი რუსთაველების დამარცხება მართებდათ, რათა მეოთხე ადგილი სტუდენტებისთვის „დაეთმოთ".

ერთხელაც აღვნიშნოთ, რომ ჩვენგან ესოდენ არასასურველად დახატულ მეოთხე ადგილზე გასული გუნდი ნახევარფინალში „ენერჯი-ინვესტს" ეჯახებოდა, ხოლო ეს რომ არც ერთ თბილისელს არ სურდა, გუშინდელ მატჩშიც კარგად გამოჩნდა. თსუ-მ და „ვითამ" ერთმანეთს დაუნდობელი ბრძოლა გაუმართეს — ასე გეგონებოდათ, წაგება პლეი ოფიდან გავარდნის ტოლფასიაო. სინამდვილეში კი მეოთხე ადგილზე არგასვლისთვის მიდიოდა ბრძოლა, რომელიც თსუ-ს გამარჯვებით დასრულდა და „ენერჯი-ინვესტი" — „ავიამშენის" დაპირისპირებას აზრი დაეკარგა. რაკი „ავიატორები" „ვითას" ურთიერთშეხვედრებში უგებდნენ, რუსთაველებთან რომც წაეგოთ, მეოთხეზე მაინც არ ჩადიოდნენ და ამიტომაც იყო, რეგულარული ჩემპიონატის ბოლო მატჩი ფორმალობად რომ იქცა.

აი, თსუ — „ვითას" ჯახი კი კარგი სდანახობა გამოდგა. „ვითა" გვარიანად იყო შემადგენლობაშეთხელებული, მაგრამ სტუდენტებს მაინც დიდი ბრძოლა გაუმართა და ცოტაც რომ გამართლებოდა, იმარჯვებდა კიდეც. 90-იანი წლების ფლაგმანს ძირითადი ცენტრი საავადმყოფოში ჰყავს: ნაპერაციები დავით ბერძენიშვილისთვის სეზონი დასრულებულია, ხოლო ვითელთა ახალგაზრდა ლიდერმა მიხეილ ბერიშვილმა გუშინწინ ფეხი იტკინა და თავისიანებს თსუ-სთან პრინციპულ მატჩში ვერ დაეხმარა.

თამაში სტუდენტების აქტიურობით დაიწყო, მაგრამ ზურაბ ტომარაძის შეგირდებმა მალე დაალაგეს თამაში და პირველი მეოთხედის წაგების შემდეგ, მეორეში ანგარიში გაათანაბრეს.

ყველაფრის თავი და თავი გამოცდილი ვლადიმერ ბეჟანიშვილი გახლდათ, რომელსაც ახალგაზრდებმაც კარგად აუბეს მხარი. ლუკა ნოზაძე ფარქვეშ გამაგრდა და დაფარებებით აღკვეთა სტუდენტების შემოტევები, ხოლო ირაკლი ძიძიგური, დავით გვიმრაძე და გიორგი მარკოიშვილი პერიმეტრიდან ჩუბინობდნენ და შიგადაშიგ არც სწრაფ გარღვევებს ივიწყებდნენ.

ყველაფერმა ამან „ვითას" სოლიდური უპირატესობა მოუტანა და მესამე მეოთხედის ბოლოსკენ ტომარაძის გუნდი 60:49 დაწუინაურდა. თსუ ხომ ის გუნდია, არასდროს რომ არ ტყდება და სტუდენტებმაც შეუტიეს. უფრო სწორედ, თსუ-მ საქმის გამოსწორება დაცვიდან დაიწყო და სწორედაც მოიქცა. ზონაში ჩამდგარ უნივერსიტეტელებს იშვიათად ეპარებოდათ მეტოჯის შედეგიანი შეტევა, აი, თავად კი სტუდენტებს შეცდომას არ პატიობდნენ და კონტრშეტევებით იხვეჭდნენ ქულებს.

ბოლო მეოთხედიდან თსუ-მ მთელს მოედანზე დაამყარა „სტუდენტური წესრიგი" და ანგარიშიც მეთოდური გაბათილება წამოიწყო.

„ვითა" აიჭრა და ლიდერობას კბილებით ინარჩუნებდა, თუმცა როცა სტუდენტებმა შორიდანაც ჩააგდეს, მდევრის არასასურველ როლში თავად აღმოჩნდნენ. დავით ბარბაქაძის სირენამდე წუთნახევრით ადრე ჩაგდებულმა სამიანმა სტუდენტებს მეორე მეოთხედში დაკარგული ლიდერობა დაუბრუნა. საკვანძო მომენტიც აქვე დაფიქსირდა — ვაკო ბეჟანიშვილმა ორივე საჯარიმო გააცუდა და თსუ-მ უპირატესობა 3 ქულამდე გაზარდა. დარჩენილ 30 წამში სტუდენტებმა ვითელთა მიერ აღებული ტაქტიკური ჯარიმები ქულებად აქციეს და რეგულარული ჩემპიონატის საბოლოო ცხრილში მეორე ადგილი გაინაღდეს.

მაშ ასე — პლეი ოფში, რომლის კალენდარიც ამ დღეებში დადგინდება, „ენერჯი-ინვესტი" „ვითას" შეხვდება, ხოლო თსუ — „ავიამშენს".

ირაკლი პერტაია

რუსთავიდან

საბოლოო მდგომარეობა

ენერჯი-ინვესტი	30	24	6	54
თსუ	30	17	13	47
ავიამშენი	30	16	14	46
ვითა	30	16	14	46
დინამო	30	13	17	43
მაკაბი	30	4	26	34

სტუდენტური წესრიგი

გიორგი ცინცაძის კვიპროსული დანაკარგები

ქართველთა საქმაგო ესტონური „როკის" საევროთასო ეპოპეა წარუმატებლად დასრულდა. გიორგი ცინცაძის გუნდი გმირულად მიიბრძოდა ამ ევროტურნირზე, გზიდან სხვა არაერთთან ერთად რუსული სუპერლიგის გუნდებიც ჩამოიცილა და ოთხთა ფინალში გავიდა, მაგრამ დასკვნით ფაზაში ვერაფერი მოახერხა და კვიპროსს უალაფოდ ტოვებს.

პარასკევს „როკერებმა" ნახევარფინალური შერკინება ლატვიურ „ბარონსთან" დაძაბულ ბრძოლაში წააგეს და ნუგეშად მესამე ადგილზე გასვლა დარჩენოდათ. თავის მხრივ, ამ „ბრინჯაოს" მატჩს იმედის თვალით უყურებდა მეორე წყვილში დამარცხებული მასპინძელი, კვიპროსული აელ-ი. ადგილობრივებს ის ვერ მოენელებინათ, ფინალში რომ ვერ გავიდნენ და მესამე ადგილისთვის მატჩში „როკერებს" რომ თავს შეაკლავდნენ, ცხადზე უცხადესი იყო. ასეც მოხდა: კვიპროსელებმა ყველა მეოთხედი მცირე უპირატესობით მოუგეს ესტონელებს და საბოლოო ჯამში 79:70 იმარჯვეს.

ჩვენ ქართველის ამბავი გვაინტერესებს და ინებეთ: გიორგი ცინცაძემ ჩვეულად ხუთეულში ითამაშა და მოედანზე 33 წუთი გაატარა. ასეთ მატჩში 10 ქულა და 5 პასი ურიგო შედეგი არ გახლავთ, მაგრამ 8 ბურთის დაკარგვა ქართველის გამთამაშებლისთვის ალბათ ნამეტანია. თან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გიორგიმ პერსონალურების ლიმიტის გამო მოედანი საფინალო სირენამდე 4 წუთით ადრე დატოვა.

„როკი" რომ ოთხთა ფინალში გავიდა, ამაში ცინცაძის წვლილი უდიდესია და ახლა გიორგი ტარტუელთათვის ესტონური ტიტულის შენარჩუნებას ეცდება. კვიპროსიდან ესტონეთში მიბრუნებულ „როკერებს" საშიდაჩემპიონატო პლეი ოფი ელით.

ირაკლი პერტაია

NBA პლეი ოფი. პირველი წრე



ფაჩულიამ გარნეტით დაიწყო

20 აპრილი

აღმოსავლეთი

ბოსტონი 104:81 ატლანტა

ბოსტონი: რონდო (15), რ. ალენი (18), პირსი (16), გარნეტი (16 ქულა, 10 მოხსნა), პერკინსი (3); კასელი (10), პოუზი (8), ტ. ალენი (5), ჰაუსი (3), ბრაუნი, დევისი

ატლანტა: ბიბი (5), ჯონსონი (19), უილიამსი (9), სმიტი (6), ჰორფორდი (20 ქულა, 10 მოხსნა); ჩილდრესი (10), ფაჩულია (12 წუთი, 4 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი), სტუდემაიერი (2), ვესტი (2), რიჩარდსონი (2), ლოუ (2), ჯონსი

ქართველმა ნბა-ში ფეხი პირველად 1998 წელს შედგა, მაგრამ მთელი ათი წელი ლოდინი დაგვჭირდა, ჩვენი თანამემამულე პლანეტის უძლიერესი საკალათბურთო ლიგის პლეი ოფში რომ გვეხილა — გუშინწინ ზაზა ფაჩულიამ ქართველთაგან პირველმა ითამაშა პლეი ოფში. არადა, მანამდე ვლადიმერ სტეფანია და ნიკა ცქიტიშვილი გადასხდნენ ამერიკაში.

სხვა საკითხია, რამდენად წარმატებულად შეიძლება გამოვიდნენ ფაჩულია და მისი გუნდი იქ. მათ ხომ თვით „ბოსტონი" ერგოთ მეტოქედ... უკაცრავად, იქით ერგნენ „ბოსტონს" — აგერ, პირველი თამაში 23 ქულით დათმეს და 9-წლიანი შესვენების შემდეგ დებიუტი მთლად სასურველი ვერ გამოუვიდათ.

თავად ფაჩულია შეხვედრაში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო: პირველი მეოთხედის დასრულებამდე 3 წუთზე ოდნავ მეტი რჩებოდა, ქართველი ცენტრი თავდამსხმელ ჯოშ სმიტის მა ვრად რომ შევიდა და... შეტევაში ჯარიმა აიკიდა. თუმცაღა ზაზამ მალე გამოასწორა შეცდომა, საკუთარ ფარზე ბოსტონელი პოუის აცილებული მოხსნა და მეტოქეთა სუპერვარსკვლავი კევინ გარნეტი აიქულა, დაჯარიმებულიყო. პირველი ქულებიც საჯარიმოებით მიითვალა.

ისე კი, ფაჩულიას სადებიუტო მატჩი მთლად შთამბეჭდავი მაინც ვერ გამოუვიდა: მან თამაშიდან ერთადერთხელ ჩააგდო — მეოთხე მეოთხედში, სულ კი 11:35 წუთში 4 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი და 2 დაკარგვა მოაგროვა და სამჯერაც მეტოქეზე დაჯარიმდა. მწვრთნელს შეეძლო მეტი ხნითაც დაეტვირთა, მაგრამ მისი პოზიციის ძირითადმა მოთამაშემ ალ ჰორფორდმა მძლავრად ჩაატარა თამაში და შეიძლება ითქვას, სტუმართაგან ერთადერთმა გაუწია ღირსეული მეტოქეობა მძლავრ ბოსტონელებს.

ზაზა კი ერთი სტატისტიკური მაჩვენებლით მაინც მოიწონებს თავს — მისმა ნაყოფიერების კოეფიციენტმა +5 შეადგინა. ანუ იმ თერთმეტ-ნახევარ წუთში, რაც ის მოედანზე იყო, მისმა გუნდმა მეტოქეზე 5 ქულით მეტი გააკეთა. სხვა არც ერთ ატლანტელს არ გამოუვიდა პლუსი. ან კი როგორ გამოუვიდოდათ, ანგარიშს შეხედეთ...

ამ თამაშს ზაზა ფაჩულიას მხრიდან კი შევხედეთ, ქართველებს ჩვენი ბიჭის ამბავი მეტად გვაინტერესებს, მაგრამ ნურც ის დაგვავიწყდება, რომ ის 23 ქულით დამარცხებული გუნდის სათადარიგო ცენტრი გახლავთ, პროჟექტორები კი სხვებს მეტად აშუქებდნენ. ყურადღების ზღვაში ლამის ჩაიძირა „ბოსტონის" ლიდერი კევინ გარნეტი, რომელიც პლეი ოფში სამწლიანი უქმობის შემდეგ დაბრუნდა სულ სხვა, გაცილებით მძლავრ გუნდთან ერთად. ასეთი უქმობა მისი კლასის მოთამაშესაც ამოაგდებს ფორმიდან და „კეიჯისაც" დრო დასჭირდა აზრზე მოსასვლელად. მატჩის მერე კი ამბობდა — თავს იმ კაცივით ვგრძნობდი, ვინც 140 კმ/სთ სიჩქარით მქროლ მანქანის სარკმლიდან თავს გადმოყოფსო — „გასახდელის გვირაბიდან დარბაზში რომ გამოვდიოდი, ხმაურის გაგონებაზე ისეთმა ჟრუანტელმა დამიარა, ერთი წუთი გავჩერდი და გულში ღმერთს მადლობას ვუძღვნიდი, ამ სამყაროში რომ დამაბრუნა."

ორლანდო 114:100 ტორონტო

ორლანდო: ჰოვარდი (25 ქულა, 22 მოხსნა, 5 დაფარება), ნელსონი (24), თურქოღლუ (21), ევანსი (14), ლუისი (13)

ტორონტო: პარკერი (24), ბოში (21), კაპონო (18), ნესტეროვიჩი (16)

„ორლანდოს" სუპერმენმა ლიდერმა, 22 წლის ასაკში ლიგის უძლიერეს ცენტრად ჩამოყალიბებულმა დუაიტ ჰოვარდმა მთელი „ტორონტო" წალეკა და 25 ქულას, 22 მოხსნა და 5 დაფარებაც მიაბა. შედეგად „ჯადოებმა" 2003 წლის შემდეგ პირველი საპლეიოფო თამაში მოიგეს.

დეტროიტი 86:90 ფილადელფია

დეტროიტი: ვოლესი (24 ქულა, 9 მოხსნა, 7 დაფარება), ბილაფსი (14), ჰამილტონი (13), მაქსეილი (12), პრინსი (12)

ფილადელფია: მილერი (20), გრინი (17), იგუდალა (16 ქულა, 9 მოხსნა, 8 პასი), ევანსი (11 ქულა, 14 მოხსნა), იანგი (10)

ალენ აივერსონი რომ ჰყავდათ, მაშინ ვერ გადიოდნენ პლეი ოფში, ახლა კი ფილადელფიელები კიდეც გავიდნენ და ხმაურიანი სენსაციაც გამოაცხეს, აღმოსავლეთის ერთ-ერთ ფავორიტ „დეტროიტს" მისსავე დარბაზში მოუგეს. დეტროიტელები იოლი გასეირნების მოლოდინში თამაშის დაწყებამდე ღლაბუცობდნენ და მაგიდის მსაჯებთან ლაყბობდნენ და აჰა, დაისაჯნენ კიდეც. ბრალი საკუთარ თავზე აიღო დეტროიტელმა შლეგმა ვეტერანმა რაშიდ ვოლესმა, ვინც ფილადელფიელებს შვიდჯერ კი დაუფარა და „დეტროიტის" ყველა დროის საპლეიოფო რეკორდი დაამყარა, მაგრამ ისიც აღიარა, მთელი დღე არასერიოზულ ტალღაზე ვიყავი და თანაგუნდელებიც ალბათ მე მოვადუნეო.

დასავლეთი

ლეიკერსი 128:114 დენვერი

ლეიკერსი: გასოლი (36 ქულა, 16 მოხსნა, 8 პასი), ბრაიანტი (32), ოდომი (17 ქულა, 14 მოხსნა), უოლტონი (16)

დენვერი: ენტონი (30 ქულა, 12 მოხსნა), აივერსონი (30), კლეიზა (23), სმიტი (15)

დასავლეთის ყოჩმა „ლეიკერსმა" პლეი ოფი „დენვერის" კალათის ამოვსებით დაიწყო. ამ საქმეში თავი გამოიჩინეს, რაღა თქმა უნდა, კობი ბრაიანტმა და ზედაც პაუ გასოლმაც. ისე, კობისთან ბოდიში და, გასოლი მაინც უკეთ გაისარჯა. მან სასტიკად დაჩაგრა ლიგის გამორჩეული დამცველი მასკუს კემბი და ბავშვივით გაიხარა, რაკი მანამდე, „მემფისში" თამაშისას ოთხჯერ მოხვდა პლეი ოფში და ოთხჯერვე ნულზე წაგებული გამოუშვეს იქიდან.

ივანე კობიაშვილი

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№ 1 საავტომობილო ზეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა



მარიო ტაისენი

მესამე კი არა, სამში პირველი

ბავარიელებს მადა გაეზარდათ

დამდეგ უქმეებზე ბარსელონა წლევანდელი საპირველფორმულო ჩემპიონატის პირველ ევროპულ ეტაპს უმასპინძლებს. კატალონიაში ჩემპიონატის ლიდერის რანგში (იგულისხმება გუნდური პირველობა) „BMW-ზაუბერი" ჩადის და ბავარიული საჯინიბოს დირექტორი მარიო ტაისენი ამით უზომოდ ბედნიერია.

„სეზონის ასეთ დასაწყისზე მხოლოდ ოცნება თუ შეიძლებოდა. ჩვენ უკვე აღარ ვართ მესამე გუნდი. ამ წუთისთვის, ანუ სამი ეტაპის შემდეგ, ჩვენ პირველები ვართ, ანუ ტოპგუნდების" სიაში მყარად ვდგავართ — ბრძანა ტაისენმა და დაამატა — ბარსელონური ეტაპი, რაღაც სეზონის მეორე დასაწყისივითაა. „კატალუნია მონტმელოზე" ყველა გუნდს უამრავი ტესტი აქვს ჩატარებული, რადგანაც ეს ტრასა მრავალ მოთხოვნას აკმაყოფილებს. სავარაუდოდ, ამ სამ კვირაში, ანუ ბაჰრეინული ეტაპის შემდეგ, ყველა გუნდმა განიცადა პროგრესი, მათ შორის ჩვენც და შევეცდებით, მოპოვებული პოზიციები არც ევროპაში დავთმოთ".

თავიანთ შეფს მხარი „BMW-ზაუბერის" პილოტებმა, გერმანელმა ნიკ ჰაიდფელდმა და პოლონელმა რობერტ კუბიცამაც აუბეს. „სადღეისოდ ყველა გუნდსა თუ მრბოლს ერთი საკითხი აწუხებს — რამდენად ეფექტური იქნება ის ახალი ელემენტები, რომლებიც ბოლიდებზე ბაჰრეინის შემდეგ გამოჩნდა. ერთი სული მაქვს, სანამ ვნახავ, თუ ვინ რა პროგრესი განიცადა, მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს, დარწმუნებული ვარ, რომ კვლავაც კონკურენტუნარიანები ვიქნებით" — განაცხადა ჰაიდფელდმა, ხოლო კუბიცამ შემდეგი ბრძანა: „ვფიქრობ, ესპანური რბოლა გაცილებით პროგნოზირებადი იქნება. აქაურ ტრასას ყველა გუნდი მშვენივრად იცნობს და რამე სიურპრიზებს ადგილი არ უნდა ჰქონდეს. სეზონის პირველ ევროპულ ეტაპს ყველა გუნდი უკეთეს ფორმაში ხვდება და ამიტომაც, ბოლიდიდან მაქსიმუმი უნდა გამოწურო. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ შეგვიძლია ამის გაკეთება და მჯერა, კვლავაც პელოტონის თავში ვიქნებით".

ბაჩა ლომაძე

მაკლარენის ნაბიჯი წინ

მსოფლიოს ჩემპიონატის ევროპული ნაწილის დაწყებას ოპტიმისტური განწყობით ხვდება „მაკლარენ-მერსედესიც". გუნდის მმართველმა დირექტორმა მარტინ უიტმარშმა ბრძანა, რომ მათმა საჯინიბომ ჩემპიონატში არსებული სამკვირიანი პაუზის დროს გვარიანი ნაბიჯი გადადგა წინ და ესპანური ეტაპისთვის სრულ მზადყოფნაშია.

„ესპანეთის დიდი პრიზით საფორმულო ევროსეზონი იხსნება და „მაკლარენი", ისევე, როგორც სხვა გუნდები, ბარსელონაში გაუმჯობესებული ბოლიდებით იქნება. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ შევძელით მანქანის მკვეთრად გაუმჯობესება. თუმც, ისიც სათქმელია, რომ წინა კვირაში გამართული ტესტები ყველა კითხვაზე პასუხს ვერ გასცემდა და ამიტომაც რბოლას უნდა დაველოდოთ, რათა გავიგოთ, თუ კონკრეტულად რამდენით წავიწიეთ წინ — განაცხადა უიტმარშმა, თუმცა თავიანთ ქომაგებს გამარჯვების ასპროცენტიანი გარანტია ვერ მისცა — პროგნოზების გაკეთება ყოველთვის ძნელია. ვფიქრობ, კონკურენტუნარიანები ვიქნებით. ჩვენი მანქანები საკმაოდ კარგად მუშაობენ, მაგრამ მარტო ჩვენ ხომ არ განგვიცდია პროგრესი, სხვებიც მუშაობენ და ყველაფერი ტრასაზე გამოჩნდება".

მარტინ უიტმარში

ბაჩა ლომაძე

სარეიტინგო ადი-ჩადი

ორშაბათს პროფესიონალ ჩოგბურთელთა განახლებული რეიტინგები გამოქვეყნდა. საქართველო კლასიფიკაციებში კვლავაც 14 ჩოგბურთელითაა წარმოდგენილი. მათგან, გასულ შვიდდღეულში მნიშვნელოვნად წინ წავიდა სალომე დევიძემ, რომელმაც ერთბაშად 52 საფეხურით მაღლა აიწია.

22 პოზიცია მოიგო სოფო ქვაცაბაიამაც, დანაჩენები კი, თუ სოფო მელიქიშვილის მორიგ უკანდახევას არ ჩავთვლით, დაახლოებით იმავე ადგილებზე არიან, რომლებზეც ერთი კვირის წინ იყვნენ.

ჯაცები

457 (-7) ლადო ჩიხლაძე	62
1225 (+3) ნოდარ ითონიშვილი	4
1564 (+6) გიორგი ხრიკაძე	1
1572 (+4) გიორგი ჭანტურია	1

ქალები

187 (-1) მაკა ჩახნაშვილი	163
279 (+17) ანა ტატიშვილი	90
356 (-1) სოფო შაფათავა	59
513 (+1) თინა ყავლაშვილი	31
553 (+52) სალომე დევიძე	26
595 (-3) ოქსანა კალაშნიკოვა	22
600(-3) მანანა შაფაქიძე	22
696 (+22) სოფო ქვაცაბაია	16
814 (-3) ეკა გორგოძე	10
942 (-24) სოფო მელიქიშვილი	6

ალაბამადან ნამანგანამდე

ამერიკის შეერთებულ შტატებში, ალაბამური დოთენის თიხნარზე ITF-ის ეგიდით 75-ათასიანი ტურნირი დაიწყო. შეჯიბრის განაცხადში, ისევე, როგორც წინა კვირას ფლორიდულ პალმ ბიჩში, ორი ქართველია, ანა ტატიშვილი და სალომე დევიძე.

სამწუხაროდ, დევიძემ, ფაქტობრივად, განაცხადშივე დაასრულა თამაში — საკვალიფიკაციო ეტაპის პირველივე წრეში 4:6 1:6 წააგო 18 წლისა და რეიტინგში 419-ე პოზიციაზე მყოფ ამერიკელ კიმბერლი კოუტსთან. რაც შეეხება ტატიშვილს, ის, სავარაუდოდ, ტურნირის ძირითად ბადეში იქნება.

უზბეკეთში, ნამანგანის მაგარსაფარზე კი 25-ათასიანი შეჯიბრი ტარდება, რომლის ძირითად ბადეში სოფო შაფათავა და ოქსანა კალაშნიკოვა არიან. შაფათავა მე-4 ნომრადაა განთესილი და პირველ წრეში 17 წლისა და კლასიფიკაციის 732-ე საფეხურზე მყოფ ჩინელ შაო ჟუ ლუს შეხვდება. კალაშნიკოვას პირველ მეტოქედ 22 წლის რუსი ვასილისა დავიდოვა ერგო, ვისაც რეიტინგში 554-ე ადგილი უკავია.

კიდევ ერთი ჩვენებური, 17 წლის მარიამ კუპრეიშვილი საკვალიფიკაციო ეტაპიდან ცდილობდა ნამანგანური ტურნირის ძირითად ბადეში მოხვედრას, მაგრამ პირველივე წრეში თავის რუს თანატოლთან ანა მორიგინასთან 1:6 1:6 დამარცხდა.



სოფო შაფათავა

ჯაცები

განთესვის რეიტინგი

1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია)	6425
2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი)	5455
3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი)	4725
4. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი)	3290
5. დავიდ ფერერი (ესპანეთი)	2620
6. ენდი როდიკი (აშშ)	2320
7. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა)	2035
8. ჯეიმს ბლეიკი (აშშ)	2020
9. რიშარ გასკე (საფრანგეთი)	1755
10. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი)	1690
11. მიხაილ იუჟნი (რუსეთი)	1600
12. პოლ-ანრი მატიო (საფრანგეთი)	1555
13. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი)	1450
14. კარლოს მოია (ესპანეთი)	1460
15. ფერნანდო გონსალესი (ჩილე)	1459
16. ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრანგეთი)	1440
17. ხუან მონაკო (არგენტინა)	1440
18. ტომი-რობრედო (ესპანეთი)	1400
19. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია)	1390
20. ენდი მიურეი (ბრიტანეთი)	1330

საჩემპიონო რბოლა

1. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი)	331
2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი)	249
3. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი)	215
4. როჯერ ფედერერი (შვეიცარია)	195
5. ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრანგეთი)	177
6. ენდი როდიკი (აშშ)	168
7. ჯეიმს ბლიკი (აშშ)	156
8. ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი)	129
9. ენდი მიურეი (ბრიტანეთი)	122
10. დავიდ ფერერი (ესპანეთი)	121
11. მიხაილ იუჟნი (რუსეთი)	117
12. მარდი ფიში (აშშ)	115
13. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა)	111
14. მიშელ ლოდრა (საფრანგეთი)	109
15. რობინ სოდერლინგი (შვედეთი)	98
16. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი)	94
17. ფილიპ კოლშრაიბერი (გერმანია)	85
18. რადეკ შტეფანეკი (ჩეხეთი)	84
19. პოლ-ანრი მატიო (საფრანგეთი)	83
20-21. ხუან მონაკო (არგენტინა)	81
20-21. სემ ქუერეი (აშშ)	81

ქალები

განთესვის რეიტინგი

1. ჟუსტინ ენინი (ბელგია)	6105
2. ანა ივანოვიჩი (სერბეთი)	4157
3. მარია შარაპოვა (რუსეთი)	3986
4. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი)	3905
5. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი)	3775
6. სერენა უილიამსი (აშშ)	2726
7. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი)	2665
8. ვინუს უილიამსი (აშშ)	2586
9. ელენა დემენტიევა (რუსეთი)	2440
10. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი)	2257
11. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი)	2198
12. პატი შნიდერი (შვეიცარია)	1965
13. აგნეს სუავი (უნგრეთი)	1667
14. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი)	1627
15. აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი)	1483
16. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი)	1433
17. დინარა საფინა (რუსეთი)	1412
18. შაჰარ პირი (ისრაელი)	1245
19. ალიონა ბონდარენკო (უკრაინა)	1206
20. ნადია პეტროვა (რუსეთი)	1192

საჩემპიონო რბოლა

1. მარია შარაპოვა (რუსეთი)	2060
2. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი)	1515
3. ანა ივანოვიჩი (სერბეთი)	1475
4. სერენა უილიამსი (აშშ)	1455
5. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი)	1147
6. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი)	1110
7. ჟუსტინ ენინი (ბელგია)	1000
8. ელენა დემენტიევა (რუსეთი)	886
9. აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი)	802
10. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი)	786
11. ლინდსი დევენპორტი (აშშ)	625
12. პატი შნიდერი (შვეიცარია)	582
13. ვინუს უილიამსი (აშშ)	566
14. ნა ლი (ჩინეთი)	565
15. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი)	524
16. ალიზ კორნე (საფრანგეთი)	518
17. დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი)	513
18. ფლავია პენეტა (იტალია)	511
19. ამელი მორესმო (საფრანგეთი)	465
20. კაროლინ ვოზნიაკი (დანია)	445

სერენას ძველი ერა

შარშან ნოემბერში მორიგი მასტერსის თასის მოგების შემდეგ როჯერ ფედერერი ალბათ ნაკლებად თუ წარმოიდგენდა, რომ თავის მომდევნო, რიგით 54-ე ტიტულს მხოლოდ ხუთი თვის თავზე მოიპოვებდა. მაგრამ წლეულს ალპელი საკუთარ თავს არ ჰგავს და რაც სეზონი დაიწყო, ლამის მხოლოდ მის საზიზღარ სათამაშო ფორმაზე გვიწევს საუბარი. თუმც როჯერმა ნავსი პორტუგალიურ ეშტორილში გატეხა და, რაც მთავარია, თავისთვის ყველაზე ნაკლებად საყვარელ საფარზე გრუნტზე იხეირა.

ისე, სადაც სამართალია, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფედერერს ფინალში ფავორიტად ცოტა თუ მიიჩნევდა, რადგანაც შვეიცარიელი არც პორტუგალიაში გამოიყურებოდა მაინდამაინც დამაჯერებლად. მაგრამ, ეტყობა, ნიკოლაი დავიდენკოს არ უწერია ფედერერის დამარცხება — რუსი რაც არ უნდა კარგ ფორმაში იყოს, ალპელი მაინც ახერხებს მის გასილაქებას. ახლა კოლიას ტრავმაც „დაეხმარა“ და ჰოდა, გასაკვირი აღარ არის, რომ პირად შეხვედრებში „მხიარულ როჯერს“ 12:0 მიჰყავს.

ფედერერი კი თავისი გამარჯვებების გეოგრაფიას უფრო და უფრო აფართოებს — პორტუგალია უკვე მე-17 ქვეყანაა, სადაც ალპელმა ტიტული მოიპოვა.

დავიდ ფერერს კი მცირე სასწაულის მოხდენა დასჭირდა შშობლიურ ვალენსიაში გასამარჯვებლად. თანამემამულე ნიკოლას ალმაგროსთან შეხვედრაში, რომელიც ტურნირის ბოლო ორი წლის ჩემპიონი გახლდათ და ახლა ჰეთ თრიქს უმიზნებდა, ფერერმა მესამე სეტში 2:5 ჩამორჩენა აღმოფხვრა და მატჩის დაწყებიდან ორი საათის შემდეგ ტრიბუნებზე შეკრებილი ახლობლები მაგრადაც გაახარა.

ჰიუსტონში კი გვარიანი მოულოდნელობა აღინიშნა, სადაც ჯეიმს ბლეიკს მაინც არ დასცალდა თავისი პირველი სათიხნარო ტურნირის მოგება. ამერიკელისთვის უფრო გულდასაწყვეტი ის არის, რომ კლასით გაცილებით უფრო დაბალ მეტოქესთან — 22 წლის ნაკლებად ცნობილ ესპანელ მარსელ გრანოლერს-პუიოლთან წააგო. თუმც პირველზე აუგი ვერავის დაცდება, რადგანაც ძალიან დაძაბულ შეხვედრაში გაცილებით მეტი ცივსისხლიანობა გამოიჩინა და გამოცდილი მეტოქე მესამე სეტის ბოლო გეიმში გატეხა — 6:4 1:6 7:5.

ჩარლსტონის წარმომადგენელობით ტურნირზე კი მოლოდინისამებრ სერენა უილიამსმა იპირველა. ფინალში ვერა ზვონარიოვამ ბევრიც იომა და გოროზი მეტოქე გვარიანადაც აწვალა, მაგრამ სახეიროს მაინც ვერაფერს გამორჩა და წლეულს უკვე მესამე ფინალი წაგო. სერენამ კი კარიერაში მესამედ იმარჯვა თიხნარზე — აქამდე ამ საფარზე მან მხოლოდ 2002 წელს იჩაუქა, როცა ჯერ რომში, შემდეგ კი „როლან გაროსზე“ მოიწყო ტრიუმფი.

კახა ლომაშვილი

კენწეროში კუნეგოა

ჰოლანდიაში გამართული ერთდღიანი კლასიკური რბოლის, „ამსტელ გოლდის“ შემდეგ, ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირმა პროტურის ახალი რეიტინგები გამოაქვეყნა, რომელსაც სათავეში „ამსტელ გოლდის“ გამარჯვებული, „ლამპრეს“ იტალიელი მრბოლი დამიანო კუნეგო უდგას.

კუნეგომ მეათე ადგილიდან ისკუპა კლასიფიკაციის თავში და ძველი ლიდერი, იანვარში ავსტრალიაში გამართული ერთკვირიანი რბოლის მომგები გერმანელი, ანდრე გრეიპელი დააქვეითა.

ტოპ-ოცეულში ყველაზე მეტი, ექვსი მრბოლით ესპანეთია წარმოდგენილი. ოთხი კაცით იწონებენ თავს ბელგიელები. იტალიასა და საფრანგეთს ორ-ორი წარმომადგენელი ჰყავთ და თითოც გერმანელი, ჰოლანდიელი, ავსტრალიელი, ლუქსემბურგელი შვეიცარიელი და ამერიკელია.

გუნდებს რაც შეეხება, სამ-სამი მრბოლით არიან წარმოდგენილნი ჰოლანდიური „რაბობანკი“ და ფრანგული „კოფიდისი“. ორ-ორი მრბოლი ჰყავთ იტალიურ „ლამპრეს“, ამერიკულ „ჰიგ როადს“, ბელგიურ „ქვიკ სტეპს“ და ესპანურ „კაის დეპარნს“, კიდევ ექვსი გუნდი კი მოწინავეთა შორის თითო მრბოლით იწონებს თავს.

პრო ტურის რეიტინგი

1. დამიანო კუნეგო (იტალია, „ლამპრე“)	73
2. ანდრე გრეიპელი (გერმანია, „ჰიგ როადი“)	62
3. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, „ასტანა“)	58
4. ტომას დეკერი (ჰოლანდია, „რაბობანკი“)	52
5. სტიინ დევოლდერი (ბელგია, „ქვიკ სტეპი“)	50
6. ხოსე ხუაკინ ხილი (ესპანეთი, „კაის დეპარნი“)	45
7. კედელ ევანსი (ავსტრალია, „ლოტო“)	42
8. ოსკარ ფრეირე (ესპანეთი, „რაბობანკი“)	40
9. ნიკ ნუიენსი (ბელგია, „კოფიდისი“)	40
10. ხუან ანტონიო ფლეშა (ესპანეთი, „რაბობანკი“)	35
11. ფრენკ შლეკი (ლუქსემბურგი, CSC)	32
12. აურელიენ კლერკი (შვეიცარია, „ბუჟ ტელეკომი“)	30
13. ალესანდრო ბალანი (იტალია, „ლამპრე“)	30
14. მიშელ დელაჟი (საფრანგეთი, „ფრანსაიზ დე ჟუ“	30
15. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, „კაის დეპარნი“)	25
16. ვოუტერ ვეილანდტი (ბელგია, „ქვიკ სტეპი“)	25
17. მაქსიმ მონფორტი (ბელგია, „კოფიდისი“)	25
18. ჯორჯ ჰინკეიპი (აშშ, „ჰიგ როადი“)	25
19. მიშელ ბუფაზი (საფრანგეთი, „კოფიდისი“)	25
20. ხოსე ალბერტო ბენიტესი (ესპანეთი, „სონი დიუვალი“)	21

გუნდები: 1. CSC (დანია) 72 ქულა; 2. კაის დეპარნი (ესპანეთი) 70; 3. ასტანა (ყაზახეთი-ლუქსემბურგი) 70; 4. რაბობანკი (ჰოლანდია) 67; 5; ლოტო (ბელგია) 67; 6. ჰიგ როადი (აშშ) 61; 7. გეროლშტაინერი (გერმანია) 57; 8. ფრანსაიზ დე ჟუ (საფრანგეთი) 53; 9 სონი დიუვალი (ესპანეთი) 52; 10. ლიქუიგასი (იტალია) 50

ქვეყნები: 1. ესპანეთი 203 ქულა; 2. ბელგია 150; 3. იტალია 146; 4. გერმანია 87; 5. საფრანგეთი 66; 6. ავსტრალია 61; 7. ჰოლანდია 55; 8. ლუქსემბურგი 53; 9. შვეიცარია 30; 10. აშშ 25

ევროპის ჩემპიონატი. ლინიანო. იტალია

ჯაცები

105 კგ: 1. დმიტრი ბერესტოვი (რუსეთი) 410 კგ (190+220); 2. რამუნას ვიშნიაუსკასი (ლიტვა) 405 (185+220); 3. რობერტ დოლეგა (პოლონეთი) 395 (177+218)

+105 კგ: 1. ვიქტორ შჩერბატისი (ლატვია) 447 (196+252); 2. მატიას შტეინერი (გერმანია) 446 (200+246); 3. ევგენი ჩიგიშევი (რუსეთი) 442 (195+247)

მსოფლიოს ჩემპიონატი. შეფილდი. ინგლისი. 19 აპრილი-5 მაისი

პირველი წრე

ჯონ ჰიგინსი (შოტლანდია) — **მეტიუ სტივენსი** (უელსი) 10:5; **რაიან დეი** (უელსი) — **მაიკლ ჯადი** (ჩრდ. ირლანდია) 10:6; **ჯო სმაილი** (ჩრდ. ირლანდია) — **სტივენ ლი** (ინგლისი) 10:4; **ალისტერ კარტერი** (ინგლისი) — **ბარი ჰოუკინსი** (ინგლისი) 10:9; **პიტერ ეგდონი** (ინგლისი) — **ჯეიმი კოუპი** (ინგლისი) 10:9; **ნილ რობერტსონი** (ავსტრალია) — **ნაიჯელ ბონდი** (ინგლისი) 10:4

პლეი ოფი პირველი წრე

20 აპრილი

ნეშვილი 0:3 დეტროიტი
0:0 0:1 0:2
სერია დეტროიტმა მოიგო 4:2
0:1 ლიდსტრომი (34, უმც. ზეტერბერგი), 0:2 გუდლერი (44, ჰელმი), 0:3 რაფალსკი (60, ცარ. კარში უასისტენტოდ)

კალგარი 2:0 სან ხოსე
1:0 1:0 0:0
სერიაში ანგარიშია 3:3
1:0 ნოლანი (12, ჰუსელიუსი, რეგირი), 2:0 ლენგკოუ (40, ტანგეი, ერიკსონი)

დალასი 4:1 ანაჰაიმი
0:0 0:1 4:0
სერია დალასმა მოიგო 4:2
0:1 პერი (23, ს. ნიდერმაიერი, ჟიგერი), 1:1 რობიდა (42, უმრ. მოდანო, ლეჰტინენი), 2:1 ბარნსი (43, რობიდა, გროსმანი), 3:1 ერიკსონი (58, რიჩარდსი, ლუნდკვისტი), 4:1 მოდანო (60, ცარ. კარში ლეჰტინენი, ტურკო)

ჩემპიონი იხვებისგან ბუმბულიღა დარჩა

სტენლის თასის 2007 წლის ჩემპიონი და წლევანდელი გათამაშების უმთავრეს ფავორიტად შერაცხული „ანაჰაიმელი იხვები“ „დალასმა“ ბუმბულ-ბუმბულ გაპუტა და პლეი ოფის პირველივე წრიდან დაიფრინა. არადა, ამ სერიის წინ ტეხასელებს ყველა განწირულად მიიჩნევდა — „ანაჰაიმი“ ფიზიკურად ძალიან ძლიერია, მათი თამაშის სტილი სათასო მატჩებისთვის ზედგამოჭრილია, კალიფორნიელებს ყველა ლიდერი დაუბრუნდათო და ასე შემდეგ. მოკლედ, „ვარსკვლავებს“ არავინ არაფრად აგდებდა და ეტყობა, თავიანთი უძლეველობა ანაჰაიმშიც დაიჯერეს, რამაც მათ დათვური სამსახური გაუწია.

განსაკუთრებით ამაზრზენად მაინც კალიფორნიელთა ვარსკვლავებით დახუნძლულმა შეტევამ ითამაშა, რომელიც მთელი სერიის განმავლობაში უწვეულოდ პასიურობდა — თუნდაც გუშინდელი თამაში რად ღირს, როცა გუნდმა მხოლოდ 18-ჯერ დაარტყა მეტოქის კარისკენ და ეს მაშინ, როცა ისინი კატასტროფის პირას იდგნენ და წესით, გიჟებივით უნდა მიხდომოდნენ ტეხასელებს. ამის მაგივრად, აწ უკვე ექს-ჩემპიონები კორი პერის ერთადერთი გოლით დაკმაყოფილდნენ და დაცვაში ჩადგნენ. „დალასს“ კი უკანახაზელმა სტეფან რობიდასმა ულიდერა, რომელმაც ჯერ ანგარიში გაათანაბრა, შემდეგ კი უზუსტესი პასით სტიუ ბარნსი გაიყვანა მეკარესთან პირისპირ და... ყველაფერი იქ მორჩა — „ანაჰაიმს“ შემდეგ ფაფხურისა და უხეშობის მეტი აღარაფერი უქნია.

„დალასმა“ კი, როგორც იქნა, დაძლია წყვეტად ქცეული პლეი ოფის პირველი წრე — გუნდს ეს 2003 წლის შემდეგ ვერ მოეხერხებინა.

გუშინ კიდევ ერთი სერია დასრულდა — „დეტროიტმა“ მაინც გატეხა ჯიუტი „ნეშვილი“, რასაც კაპიტან ნიკლას ლიდსტრომის იღბალს უნდა უმადლოდეს, რომლის ცენტრიდან გასროლილსაც მანამდე ფანტასტიკურად მოთამაშე დენ ელისმა ვერაფერი მოუხერხა. სხვათა შორის, ლიდსტრომმა ასეთი რამ 2002 წელსაც გააკეთა. მაშინაც პირველ წრეში, როცა „ვანკუვერის“ კიპერი დენ კლოტიე გაასულელა. „დეტროიტისთვის“ ეს რიგით 59-ე მოგებული სერია გამოდგა, რაც ლიგის ისტორიაში მეორე საუკეთესო შედეგია — „წითელფრთიანები“ ახლა მხოლოდ „მონრეალს“ ჩამორჩებიან.

აი, „სან ხოსემ“ კი ვერ შეძლო სერიის ნაადრევად დასრულება — ცოფიანმა „კალგარიმ“ უმძლავრესი წნეხის ქვეშ მოაქცია სტუმრები და „ზვიგენეთა“ ვარსკვლავებს ხელიც არ გაანძრევინა. ასე რომ, ამ წყვილში ყველაფერი მეშვიდე მატჩში გადაწყდება, რომელსაც კალიფორნიელები კი უმასპინძლებენ, მაგრამ ეს რამდენად წაადგებათ, ძნელი სათქმელია.

კახა ლომაშვილი

ზე-14 2008

ჯვაროსნებმა დაეცნენ

ახალზელანდიური „კრუზეიდერზის“ მჯობნიც გამოჩნდა. ჰამილტონში „ჩიფსმა“ ზე-14-ის ერთპიროვნულ ლიდერს დაძაბულ შეხვედრაში პირველი დამარცხება აწვნია. ეტყობა, „ჯვაროსნებს“ დენ კარტერის გარეშე მაინც უჭირთ. მათ ზედიზედ მეორე შეხვედრა ითამაშეს არადამჯერებლად, როცა არ ედგათ ძირითადი 10 ნომერი. მასპინძელთაგან კი შეუჩერებლები იყვნენ „ჩიფსის“ კაპიტანი მაილს მულიაინა და სიტივენი სივავატუ, ვის გარღვევებსაც კრაისტჩერჩელთა გორროზმა მცველებმა ვერაფერი მოუხერხეს. სტუმართა ერთადერთი ლელო კი ნახევარმცველ ენდრიუ ელისის ანგარიშზეა.

პირველგუნდის მარცხით ვერ ისარგებლა ცხრილში მეორე პოზიციაზე მყოფმა დურბანულმა „შარკსმა“. „ზვიგენებს“, გამარჯვების შემოხვევაში, შანსი ჰქონდათ, „კრუზეიდერზისთვის“ გადაესწროთ, მაგრამ ახალზელანდიურ „ბრამბიზთან“ წააგეს სტუმრად. „რაშების“ ვარსკვლავებმა, მარკ ჯერარდმა და ადამ ეშლი-კუპერმა დაარბიეს სამხრეთაფრიკელთა ლელოს მისადგომები. მართალია, მათი ბრწყინვალე რაგბობა მოულოდნელი აფეთქებების ხასიათს ატარებდა, მაგრამ ეს სავსებით საკმარისი აღმოჩნდა გამარჯვებისთვის. როგორც კი ახალზელანდიელები ოდნავ მიწყნარდებოდნენ, მაშინვე იკვეთებოდა სტუმრების უპირატესობა. ფრანს შტეინი თავისი ძლევამოსილი ფეხის წყალობით თავსატეხს არ აკლებდა „ბრამბიზის“ მორაგბეებს, მაგრამ მასპინძლებმა ბოლომდე გაუძლეს და უპირატესობა შეინარჩუნეს.

ზე-14-ის შარშანდელმა ჩემპიონებმა ოდენ მესამე გამარჯვება მოიპოვეს მაჩანჩალა ახალზელანდიურ „ჰაილენდერზთან“. „ხარებმა“ ლელოებით დახუნძლეს მომხვდურნი. მასპინძლების მიერ გატანილი ექვსი ლელოდან ორ-ორი ზეინ კირხერისა და აკონა ნდუნგანეს ანგარიშზეა. გაგიკვირდებათ და, მოედნიდან ულელოოდ გამოვიდა ბრაიან ჰაბანა, რომელმაც ტრავმის შემდეგ მეორე შეხვედრა ჩაატარა.

ზურაბ მიგრიაული

ჩიფსი 18:5 კრუზეიდერზი
რედზი 29:12 ფორსი
ვარათაზი 26:3 ლაიონზი
ბრამბიზი 27:21 შარკსი
ბულზი 47:17 ჰაილენდერზი
შტორმერზი 20:12 ჰარიკანზი

კრუზეიდერზი	9	8	0	1	+187	6	38
შარკსი	9	7	1	1	+44	2	32
ვარათაზი	9	7	0	2	+50	3	31
შტორმერზი	9	5	0	4	+29	7	27
ჩიფსი	9	6	0	3	+16	3	27
ჰარიკანზი	9	5	1	3	+43	4	26
ბლუზი	9	5	0	4	+51	5	25
ბრამბიზი	9	5	0	4	-19	4	24
ფორსი	10	5	0	5	-28	4	24
რედზი	9	3	1	5	-27	2	16
ბულზი	10	3	0	7	-77	3	15
ჰაილენდერზი	9	1	0	8	-61	7	11
ჩიტაზი	9	1	0	8	-83	7	11
ლაიონზი	9	1	1	7	-125	1	7

მარია შარაპოვა

ანა ჩაკვეტაძე

ქალის სიზლი
სერენა და სლავები

ერთნი ამტკიცებენ, რომ გემოვნებაზე არ დავობენ. მეორენი კი ირწმუნებიან, სწორედაც რომ გემოვნება არის საკამათო. ესეც გემოვნების ამბავია, რომელ მოსაზრებას დავეთანხმებით.

WTA ტურის ვერსიით კი ჩოგბურთელ ქალთა მოშხიბვლელი ექვსეული ასე გამოიყურება: ყველაზე ლამაზი რუსი მარია შარაპოვაა. მას კიდევ სამი რუსი — ანა ჩაკვეტაძე, ელენა დემენტიევა და მარია კირილენკო მოჰყვებიან. მეხუთე სერბი ანა ივანოვიჩია, ექვსეულს კი ჰოი, საოცრებავ, ამერიკელი სერენა უილიამსი ხურავს.

ისე, რაღა დაგიმალოთ და, სარბიელელების რჩეული ანა ივანოვიჩია.

მარია კირილენკო

ელენა დემენტიევა

სერენა უილიამსი



ანა ივანოვიჩი

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge